საერთაშორისო
გამჭვირვალობა
საქართველო

# სასამართლო მონიტორინგის

# ანგარიში #3



**მონიტორინგის პერიოდი**
**თებერვალი - დეკემბერი 2013**

USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

*The Judicial Independence and Legal Empowerment Project (JILEP)*

# სასამართლო მონიტორინგის ანგარიში

# №3

პერიოდი: 2013 წლის თებერვალი – დეკემბერი

აპრილი, 2014 წ.

თბილისი, საქართველო

*აღნიშნული მონიტორინგის პროექტის განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარებითა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით. შინაარსზე პასუხისმგებელია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“. დოკუმენტის შინაარსი შეიძლება არ გამოხატავდეს USAID-ისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ან აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) შეხედულებებს.*

# სარჩევი


მადლიერების გამოხატვა ........ 4

მოკლე მიმოხილვა ........ 5

სასამართლო მონიტორინგის მიზანი და დაკვირვებულ საქმეთა რაოდენობა ........ 8

მეთოდოლოგია ........ 10

საქმეთა შერჩევა და მონიტორინგის მთავარი აქცენტები ........ 12

დავათა შედეგები ........ 14

ადმინისტრაციული პროცესის ძირითადი პრინციპები ........ 17

საქმის განხილვის გონივრული ვადა და პუნქტუალურობა ........ 18

ძირითადი მიგნებები ........ 18

საჯარო განხილვის უფლება ........ 23

ძირითადი მიგნებები ........ 24

მოსამართლის მიერ სხდომის წარმართვის პრინციპი ........ 29

ძირითადი მიგნებები ........ 30

ინკვიზიციურობის პრინციპი (მოსამართლის ინიციატივა) ........ 42

ძირითადი მიგნებები ........ 43

მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი ........ 48

ძირითადი მიგნებები ........ 49

დასკვნა ........ 54

# მადლიერების გამოხატვა

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მადლიერებას გამოხატავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, თბილისის, ბათუმისა, ქუთაისის საქალაქო სასამართლოების, გორის, ზუგდიდისა და ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოების მიმართ, რომლებიც ჩვენს დამკვირვებლებს სასამართლო განხილვების დროს ჩანაწერების თავისუფლად გაკეთების საშუალებას აძლევდნენ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მადლობას უხდის ასევე სასამართლოთა ადმინისტრაციულ პერსონალს, მათ შორის, მანდატურებს, მოსამართლეთა თანაშემწეებს და სხდომის მდივნებს.

ამასთანავე, განსაკუთრებული მადლობას ვუხდით ბატონ ნილ ვაინშტაინს, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) სამართლებრივი სისტემების სპეციალისტს, რომელმაც თავისი უაღრესად ღირებული გამოცდილების, წინადადებებისა და რჩევების გაზიარებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამ კვლევაში, ასევე ფოლკე ბერნადოტეს აკადემიასა და ეუთოს კანონის უზენაესობის ოფისს ადმინისტრაციული სამართალწარმოების მონიტორინგის სფეროში გამოცდილების გაზიარებისათვის.

## მოკლე მიმოხილვა

წინამდებარე ანგარიში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ წარმოებული პირველი ინსტანციის სასამართლოებში ადმინისტრაციული სამართალწარმოების მონიტორინგის შედეგების ამსახველი მესამე ანგარიშია. ის 2013 წლის თებერვლიდან 2013 წლის დეკემბრამდე პერიოდს მოიცავს და თბილისის, ბათუმის, ხელვაჩაურის, ქუთაისის, გორისა და ზუგდიდის პირველი ინსტანციის სასამართლოებში ადმინისტრაციული სამართალწარმოების მონიტორინგის მონაცემებს ასახავს. დაკვირვება საერთო ჯამში 253 საქმესთან დაკავშირებულ 532 სასამართლო სხდომაზე მოხდა – ეს მონაცემი თითქმის ორჯერ აღემატება მეორე მონიტორინგის შედეგებს, რაც იმითაა განპირობებული, რომ ბოლო მონიტორინგის პერიოდი წინაზე ორჯერ ხანგრძლივი იყო.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ დააკვირდა სასამართლოს ადმინისტრაციისა და მოსამართლეების მიერ ისეთი პრინციპების დაცვას, როგორებიცაა: საქმის განხილვის გონივრული ვადა და პუნქტუალურობა, საჯარო განხილვის უფლება, მოსამართლის მიერ სხდომის წარმართვის პრინციპი, ინკვიზიციურობის პრინციპი, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი.

ამ ანგარიშის ძირითადი მიგნებები შემდეგია:

- მესამე მონიტორინგის პერიოდში სახელმწიფო მხარის სასარგებლოდ გადაწყვეტილი საქმეების საერთო რაოდენობა პირველი და მეორე მონიტორინგის პერიოდებთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა. მაგალითად, იმ საქმეთა მაჩვენებელი, რომლებიც სახელმწიფო ორგანოების სრული წარმატებით მთავრდებოდა, თბილისის საქალაქო სასამართლოში 84.4%-იდან 63.7%-მდე შემცირდა, ხოლო ბათუმის საქალაქო და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოებში – 87.1%-იდან 45.5%-მდე.

- მოსამართლეები ინკვიზიციურობის პრინციპს ნაკლებად იყენებდნენ. ისინი განსაკუთრებით პასიურები იყვნენ შემდეგ ქმედებებში: მხარეებისათვის მითითებების/რეკომენდაციების მიცემა,მხარისათვის დამატებითი ინფორმაციისა და მტკიცებულებების წარდგენის მოთხოვნა და სხვა. ინკვიზიციურობის პრინციპის აქტიური გამოყენება მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით იმიტომ, რომ საქართველოში ადმინისტრაციულ დავებზე უფასო სასამართლო წარმომადგენლობა უზრუნველყოფილი არ არის.

- სხვა სასამართლოებისაგან განსხვავებით, თბილისის საქალაქო, ქუთაისის საქალაქო და გორის რაიონულ სასამართლოებში მოსამართლეები ნაკლებად სთავაზობდნენ მხარეებს მორიგებას.

- რეგიონულ სასამართლოებს თბილისის საქალაქო სასამართლოსთან შედარებით, რომელსაც უფრო მეტი საქმე აქვს, საბოლოო გადაწყვეტილების გამოსატანად მეტი დრო სჭირდებოდათ. გამონაკლისი იყო ზუგდიდის რაიონული სასამართლო.

- მონიტორინგის პროცესში გამოიკვეთა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლო რეგიონულ სასამართლოებთან შედარებით მრავალ სფეროში ნაკლებად აქტიურობდა, კერძოდ, ისეთ საკითხებში, როგორებიცაა: დავის საფუძვლის ან/და კანონის შესაბამისი მუხლების გამოქვეყნება; საქმის არსის მოკლედ აღწერა, განსაკუთრებით მოსამზადებელ სხდომაზე; სხდომის გახსნისას მხარეებისათვის მათი უფლებების განმარტება; მხარეებისათვის სხდომის ეტაპების მნიშვნელობის განმარტება; მხარეებისათვის საქმის მორიგებით დასრულების შეთავაზება; იმ მტკიცებულებებისა და კანონის მუხლების გამოცხადება, რომლებსაც ეყრდნობოდნენ მოსამართლეები საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანისას.

- ადმინისტრაციულ საქმეთა მონიტორინგისას წინა მონიტორინგის პერიოდებთან შედარებით გაუმჯობესების მკაფიო ტენდენცია გამოიკვეთა პუნქტუალურობის კუთხით თბილისისა და ბათუმის საქალაქო და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოებში. პუნქტუალურობის მაჩვენებელი დაბალია გორისა და ზუგდიდის რაიონულ სასამართლოებში.

- სასამართლოების ადმინისტრაციები ზოგჯერ ვერ უზრუნველოფდნენ იმ სასამართლო სხდომების შესახებ ინფორმაციის მოწოდებას, რომლებიც განუსაზღვრელი ვადით გადაიდო. ამასთანავე, თბილისის საქალაქო სასამართლოს არცერთ შემთხვევაში არ გამოუქვეყნებია შესაბამისი მუხლი, რომლითაც დავა მიმდინარეობდა. ამას „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო" პირველი სასამართლო მონიტორინგის ანგარიშიდან მოყოლებული მიუთითებს.

- რეგიონული სასამართლოებისაგან განსხვავებით, თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართული სასამართლო სხდომების უმეტესობაზე მოსამართლეები არ გადმოსცემდნენ მოკლედ საქმის შინაარსს, სხდომის გახსნისას მხარეებს არც მათ უფლებების და არც საქმის განხილვის

ეტაპების მნიშვნელობას არ განუმარტავდნენ. მიუხედავად იმისა რომ განმარტება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც მხარე ადვოკატით არ არის წარმოდგენილი, რაც საკმაოდ გავრცელებული შემთხვევაა საქართველოში ადმინისტრაციულ საქმეებზე უფასო იურიდიული დახმარების არარსებობის გამო.

- თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებმა მტკიცებულება, რომელიც საფუძვლად დაუდეს გადაწყვეტილებას, საქმეთა მხოლოდ 28%-ის შემთხვევაში გამოაცხადეს. დანარჩენ სასამართლოებში ამ კუთხით მნიშვნელოვანი გაუმჯობესება აღინიშნება.

- მოსამართლეები ყველა სასამართლოში იცავდნენ შეჯიბრებითობის პრინციპს, რითაც მიუკერძოებლობას უზრუნველყოფდნენ.

## სასამართლო მონიტორინგის მიზანი და დაკვირვებულ საქმეთა რაოდენობა

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ სასამართლო მონიტორინგის პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოს სასამართლო სისტემის გამჭვირვალობას, ეფექტიანობასა და ხელმისაწვდომობას ადმინისტრაციული სამართლის სფეროში. ამისათვის „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მონიტორინგის ჯგუფი ადმინისტრაციულ სასამართლო პროცესებს ესწრება, სხდომათა პროცედურების შესახებ ინფორმაციას კრებს, სტატისტიკას ადგენს, მიღებულ მონაცემებს აანალიზებს და შესაბამის დასკვნებს აკეთებს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ აღნიშნულ პროექტს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან მონიტორინგის შედეგების გასაჯაროების შემდეგ საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი იქნება ამომწურავი მიმოხილვა იმისა, თუ რა ხდება საქართველოს სასამართლოთა დარბაზებში. ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საქართველოს სასამართლო სისტემის მდგომარეობისა და იმ სფეროების შესახებ საჯარო დებატების წამოწყებას, რომლებიც რეფორმირებას საჭიროებს.

ამ ანგარიშში ასახული სასამართლო მონიტორინგის შედეგები 2013 წლის თებერვლიდან 2013 წლის დეკემბრამდე პერიოდს მოიცავს და თბილისის, ბათუმის, ხელვაჩაურის, ქუთაისის, გორისა და ზუგდიდის პირველი ინსტანციის სასამართლოთა მონაცემებს შეიცავს. მონიტორინგის პერიოდში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ პირველად ჩაატარა დაკვირვება ქუთაისისა და ზუგდიდის სასამართლოებში.

აღნიშნულ პერიოდში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ მონიტორინგი განახორციელა 253 ადმინისტრაციულ საქმეზე, საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის ეტაპის ჩათვლით. ხშირად თითოეული საქმე რამდენიმე სხდომას გულისხმობდა. ჩვენი დამკვირვებლები საერთო ჯამში 532 სხდომას დაესწრნენ, მათ შორის: 299 სხდომას (157 საქმე) თბილისის საქალაქო სასამართლოში; 119 სხდომას (44 საქმე) ბათუმის საქალაქო და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოებში; 84 სხდომას (33 საქმე) ქუთაისის საქალაქო სასამართლოში; 24 სხდომას (14 საქმე) გორის რაიონულ სასამართლოში; 6 სხდომას (5 საქმე) ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში. ამ ანგარიშში ბათუმის საქალაქო და ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოების სტატისტიკური მონაცემები ერთადაა განხილული.

ზემოთ აღწერილი სხდომების გარდა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ დამკვირვებლები დაესწრნენ 161 სხდომას (90 საქმე), რომლებიც განუსაზღვრელი ვადით გადაიდო, მხარეთა მორიგების შედეგად შეწყდა (11 საქმე), დაუშვებლად იქნა ცნობილი (20 საქმე) ან მხარეებმა გამოითხოვეს (44 საქმე).[1] აღნიშნული 90 საქმე ამ კვლევაში შეტანილ საერთო სტატისტიკაში არ შედის, თუმცა ანგარიში შეიცავს მითითებებს იმ საქმეებზე, რომლებიც მოსამართლის მიერ შეთავაზების შემდეგ მხარეთა მორიგებით დასრულდა.

**გრაფიკი 1. საქმეები და სასამართლო სხდომები, რომლებზეც ხორციელდებოდა მონიტორინგი**




[1] იხ. დანართი 1, გრაფიკი 1.2.

## მეთოდოლოგია

სასამართლო მონიტორინგის განსახორციელებლად „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ თავდაპირველად მისი დამკვირვებლების მიერ შესავსები სპეციალური კითხვარი შეიმუშავა (იხ. დანართი). კითხვარი შედგებოდა 140 შეკითხვისაგან, რომლებიც შესაბამისი კანონმდებლობის პროცედურული მოთხოვნების გათვალისწინებით ჩამოყალიბდა.[2] 2013 წლის 6 მარტს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის შედეგად კითხვარში მოცემული კითხვების რაოდენობა 140-იდან 148-მდე გაიზარდა. ეს კითხვებში იმ საკანონმდებლო ცვლილებების ასახვამ განაპირობა, რომლებიც აუდიო- და ვიდეოჩაწერის განხორციელებისათვის ახალ რეგულაციებს აწესებს. კერძოდ, ამ ცვლილებების შედეგად ტელეარხებს საშუალება ეძლევათ, მოსამართლეს სხდომის ჩაწერის ნებართვის გაცემის თხოვნით მიმართონ. გარდა ამისა, კითხვარში შეტანილ იქნა სასამართლოს აპარატისა და მოსამართლეების ქცევის ნორმებთან დაკავშირებული პრობლემების ამსახველი კითხვები. ეთიკის ნორმების დაცვაზე დაკვირვება წინა ორი მონიტორინგის პერიოდშიც ხდებოდა.

აღნიშნული კითხვარი შეიცავს კითხვებს რამდენიმევარიანტიანი პასუხით, ამასთანავე, ყოველი კითხვის შემდეგ დატოვებულია გრაფა კომენტარისათვის, რაც დამკვირვებლის მიერ სხდომის ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის სათანადოდ დოკუმენტირებას უზრუნველყოფს. გარდა ამისა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ შეიმუშავა ელექტრონულ მონაცემთა ბაზა, რომელიც შეგროვებული ინფორმაციის მარტივად დამუშავებისა და შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების ადვილად მოპოვების საშუალებას იძლევა. ეს მონაცემთა ბაზა, რომელიც მოთხოვნის შემთხვევაში ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვისაა ხელმისაწვდომი, კითხვარის ბეჭდური ვერსიის იდენტურია და შეგროვებული მონაცემების მართვასა და ადმინისტრირებას აიოლებს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მონიტორინგის განსახორციელებლად საერთო ჯამში 32 სასამართლო დამკვირვებელი ჰყავდა: 20 ნახევარ განაკვეთზე მომუშავე დამკვირვებელი თბილისში; 5 ნახევარ განაკვეთზე მომუშავე დამკვირვებელი ბათუმსა და ხელვაჩაურში; 4 ნახევარ განაკვეთზე მომუშავე დამკვირვებელი ქუთაისში; 1 სრულ განაკვეთზე მომუშავე დამკვირვებელი გორში; 2 ნახევარ განაკვეთზე მომუშავე დამკვირვებელი ზუგდიდში. დამკვირვებლები არიან იურიდიული ფაკულტეტის დამამთავრებელი კურსის სტუდენტები, რომლებიც საგულდაგულოდ შეირჩნენ

[2] საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, თბილისი, 23/07/1999, №2352-რს; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბილისი, 14/11/1997, №1106-Iს.

ღია კონკურსის შედეგად. ვიდრე სასამართლო პროცესების მონიტორინგს შეუდგებოდნენ, ყველა დამკვირვებელმა რამდენიმედღიანი ინტენსიური თეორიული და პრაქტიკული ტრენინგი გაიარა. დღეში სულ მცირე 2 დამკვირვებელი ესწრებოდა სხდომებს თბილისის საქალაქო სასამართლოში და აკვირდებოდა როგორც ახალი, ისე გადადებული საქმეების განხილვებს. დამკვირვებლები მიდიოდნენ ბათუმის და ქუთაისის საქალაქო, ხელვაჩაურის გორისა და ზუგდიდის რაიონულ სასამართლოებში ოფიციალური განრიგით დანიშნულ ახალი საქმეების განხილვებზე დასასწრებად; ისინი გადადებულ სხდომებსაც ესწრებოდნენ. იმ სხდომებზე სრული სურათის შესაქმნელად, რომელთა შესახებ ინფორმაციაც სასამართლოების ვებგვერდებზე გამოქვეყნებული ან გამოტოვებული იყო, დამკვირვებლები სასამართლოებში მაშინაც მიდიოდნენ, როდესაც სხდომების თაობაზე ინფორმაცია აღნიშნულ ვებგვერდებზე გამოქვეყნებული არ ყოფილა.

## საქმეთა შერჩევა და მონიტორინგის მთავარი აქცენტები

მონიტორინგის განსახორციელებლად საქმეები შესაბამისი სასამართლოების ვებგვერდებზე გამოქვეყნებული ოფიციალური განრიგის მიხედვით შეირჩეოდა.[3] ჩვენი დამკვირვებლები სხდომებს ესწრებოდნენ ასევე შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, ანუ როდესაც სასამართლოთა დერეფნებში სხდომის მდივნები რომელიმე სასამართლო განხილვის დაწყების შესახებ აცხადებდნენ. ამასთანავე, დაგეგმილი განხილვების თაობაზე ინფორმაციის შესაგროვებლად „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ დამკვირვებლები რეგულარულად უკავშირდებოდნენ მოსამართლეთა თანაშემწეებს, სასამართლოს ადმინისტრაციულ პერსონალს, მათ შორის, მანდატურებს, მხარეებს და მათ წარმომადგენლებს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ სასამართლო მონიტორინგის ამ პროექტში ყურადღება საკუთრების უფლებასთან დაკავშირებულ დავებზე მახვილდება, გამომდინარე იქიდან, რომ ბოლო წლებში გახშირდა საჩივრები აღნიშნული უფლების ხელყოფის თაობაზე.[4] თუმცა მონიტორინგი სხვა საქმეებზედაც ხორციელდებოდა. პირველი ინსტანციის სასამართლოებში ადმინისტრაციული პალატის მოსამართლეები სპეციალიზებულები არიან, რაც იმას ნიშნავს, რომ საკუთრების უფლების ხელყოფასთან დაკავშირებულ დავებს რამდენიმე მოსამართლე იხილავს. ეს კი იმის საფრთხეს ქმნის, რომ მონიტორინგის შედეგად ერთი და იმავე მოსამართლის მოქმედებებზე დაკვირვება მოხდეს. ერთი მხრივ, ამის გამო, ხოლო, მეორე მხრივ, ყველა შესაძლო პროცედურული ხარვეზის დასადგენად, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ გადაწყვიტა, მონიტორინგი შემთხვევითობის პრინციპით

---

[3] თბილისის საქალაქო სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდი: www.tcc.gov.ge; ბათუმის საქალაქო სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდი: http://batumi.court.gov.ge/; გორის რაიონული სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდი: http://gori.court.gov.ge/; ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდი: http://court.gov.ge/courts/quTaisis_saqalaqo_sasamarTlo/?page=17

[4] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), 2012 წლის ანგარიში, http://gyla.ge/geo/news?info=842, ვებგვერდი ინახა 31/01/2013; ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაცია, „საკუთრების დაუცველი უფლებები საქართველოში“, 2012 წ. მარტი, http://www.greenalt.org/webmill/data/file/publications/Stripped_Property_Rights_April2012_Eng.pdf, ვებგვერდი ინახა 31/01/2013; „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „საკუთრების უფლების დაცვის პრობლემა სოფელ გონიოს მაგალითზე“, 2011 წ. მარტი, http://transparency.ge/en/post/report/problems-related-protection-property-rights-case-gonio-march-2011, ვებგვერდი ინახა 31/01/2013; „საკუთრების უფლების დაცვის პრობლემა დაბა მესტიის მაგალითზე“, 2011 წ. ივლისი, http://transparency.ge/en/post/report/problems-related-protection-property-rights-case-mestia-july-2011, ვებგვერდი ინახა 31/01/2013; სტუდია GNS-ის დოკუმენტური ფილმი „საკუთრების უფლებების დარღვევა, დიღმის საქმე“, http://www.youtube.com/watch?v=ioAZneCQ1nw, ვებგვერდი ინახა 31/01/2013.

შერჩეული სხვა ადმინისტრაციული საქმეების სასამართლო განხილვებზედაც განეხორციელებინა.

გრაფიკი 2. ადმინისტრაციული ორგანოების კონტროლისადმი დაქვემდებარებული საქმეები



## დავათა შედეგები

ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას პროცედურული ნორმების დაცვის მონიტორინგის გარდა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ იმ 253 საქმის შედეგებიც აღნუსხა, რომელთა მონიტორინგსაც ახორციელებდა. ამ საანგარიშო პერიოდის შედეგები პირველი და მეორე მონიტორინგის ანალოგიური მაჩვენებლებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ დაკვირვებით, სახელმწიფოს წარმომადგენელი მხარეების მიერ მოგებულ საქმეთა რაოდენობა მკვეთრად შემცირდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოში სრულად სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩვენ მიერ დაკვირვებულ საქმეთა 63.7% (157-იდან 100) გადაწყდა. პირველი მონიტორინგის პერიოდში შესაბამისი მაჩვენებელი 84.4% იყო, ხოლო მეორე მონიტორინგის პერიოდში – 79.6%.

ბათუმის საქალაქო და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოებში სრულად სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩვენ მიერ დაკვირვებულ საქმეთა 45.5% (44-იდან 20) გადაწყდა. პირველი მონიტორინგის პერიოდში შესაბამისი მაჩვენებელი 87.1% იყო, ხოლო მეორე მონიტორინგის პერიოდში – 74.3%.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოში სრულად სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩვენ მიერ დაკვირვებულ საქმეთა 48.5% (33-იდან 16) გადაწყდა, გორის რაიონულ სასამართლოში – 64.3% (14-იდან 9), ხოლო ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში – 40% (5-იდან 2).

საერთო ჯამში, ყველა სასამართლოში, რომლებშიც მონიტორინგს ვახორციელებდით, სრულად სახელმწიფოს სასარგებლოდ საქმეთა 58% (253-იდან 147) გადაწყდა. მეორე მონიტორინგის პერიოდში შესაბამისი მაჩვენებელი 79% (142-იდან 112) იყო, ხოლო პირველი მონიტორინგის პერიოდში – 85% (108-იდან 92).

**გრაფიკი 3. დავათა შედეგები თბილისის საქალაქო სასამართლოში**




**გრაფიკი 4. დავათა შედეგები ბათუმის საქალაქო და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოებში**



გრაფიკი 5. დავათა შედეგები ქუთაისის საქალაქო სასამართლოში




გრაფიკი 6. დავათა შედეგები გორის რაიონულ სასამართლოში




გრაფიკი 7. დავათა შედეგები ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში



## ადმინისტრაციული პროცესის ძირითადი პრინციპები

ადმინისტრაციული სამართალწარმოების სამართლებრივი პრინციპები ორ ძირითად კატეგორიად იყოფა: ზოგად სამართლებრივ პრინციპებად და კერძო სამართლებრივ პრინციპებად. პირველი კატეგორიის პრინციპები კონსტიტუციაშია თავმოყრილი, ხოლო მეორე კატეგორიისა, ზოგად სამართლებრივ პრინციპებთან ერთად, კონკრეტულ სფეროთა კოდექსებშია განმტკიცებული.[5]

ამ კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ ადმინისტრაციული სამართალწარმოების ზოგადი და კერძო სამართლებრივი პრინციპების დაცვის მონიტორინგი განახორციელა.

ეს პრინციპებია:

- საქმის განხილვის გონივრული ვადა და პუნქტუალურობა;
- საჯარო განხილვის უფლება;[6]
- მოსამართლის მიერ სხდომის წარმართვის პრინციპი;[7]
- ინკვიზიციურობის პრინციპი;[8]
- მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი.[9]

ადმინისტრაციული საქმის განხილვა საქართველოში, უპირველეს ყოვლისა, ინკვიზიციურობის პრინციპს ეფუძნება, რაც იმას ნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მოსამართლე უფრო აქტიური უნდა იყოს, ვიდრე სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ შეჯიბრებითობის პრინციპზეა დამყარებული.[10] ამის გათვალისწინებით „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ განსაკუთრებული ყურადღებით აკვირდებოდა, როგორ იყენებდნენ მოსამართლეები ინკვიზიციურობის პრინციპს საქმის ადმინისტრაციული წესით განხილვისას.[11]

---

[5] მ. კოპალეიშვილი, ნ. სხირტლაძე, ე. ქარდავა, პ. ტურავა, „ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო“, თბილისი, 2008, გვ. 19.

[6] საქართველოს კონსტიტუცია, თბილისი, 24/08/1995, №786-რს, 85-ე მუხლი; ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 04/11/1950, მე-6 მუხლი; საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, თბილისი, 04/12/2009, №2257-IIს, მე-13 მუხლი.

[7] მ. კოპალეიშვილი და სხვანი, გვ. 27.

[8] საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მე-4 მუხლი; მ. კოპალეიშვილი და სხვანი, გვ. 25.

[9] საქართველოს კონსტიტუცია, მე-14 მუხლი; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მე-4 და მე-5 მუხლები.

[10] საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მე-4 მუხლი.

[11] მ. კოპალეიშვილი და სხვანი, გვ. 27.

## საქმის განხილვის გონივრული ვადა და პუნქტუალურობა

პუნქტუალურობის შეფასება მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრისათვის, თუ როგორ მართავენ მოსამართლეები დროს და რამდენად ორგანიზებული არიან ისინი. მონიტორინგის პროცესში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ აფიქსირებდა, იწყებოდა თუ არა სასამართლო სხდომები დანიშნულ დროზე გვიან.

საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლება სამართლიანი სასამართლოს მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ამასთანავე, ის სასამართლო სისტემის მოწყობისა და მართვის უკეთ გაანალიზების საშუალებას იძლევა. აღნიშნული უფლება მხარეებისათვის არის ერთგვარი გარანტია, რომ მათი საქმე გადამეტებული პროცედურული დაგვიანებით არ იქნება განხილული. დაგვიანებამ შესაძლებელია საფრთხის წინაშე დააყენოს სასამართლოს ეფექტიანობა და სანდოობა.[12] საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ადმინისტრაციული წესით განხილულ საქმეზე გადაწყვეტილება სარჩელის რეგისტრაციიდან ორი თვის განმავლობაში უნდა იქნეს გამოტანილი. განსაკუთრებული სირთულის საქმეზე აღნიშნული ვადა ხუთ თვემდე შეიძლება გაგრძელდეს.[13]

## ძირითადი მიგნებები

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ თავმოყრილი სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ მესამე მონიტორინგის პერიოდში თბილისისა და ბათუმის საქალაქო და ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოები უმეტესწილად ეფექტიანად იცავდნენ პუნქტუალურობის პრინციპს. გორისა და ზუგდიდის რაიონულ სასამართლოებში სხდომათა გვიან დაწყების პროცენტული მაჩვენებელი უფრო მაღალია.

მესამე მონიტორინგის პერიოდში თბილისის საქალაქო სასამართლოში სხდომათა 69% (299-იდან 207) დაიწყო დანიშნულ დროს. მეორე მონიტორინგის პერიოდში ამ სასამართლოში სხდომათა 67% (147-იდან 99) იწყებოდა თავის დროზე, ხოლო პირველი მონიტორინგის პერიოდში შესაბამისი მაჩვენებელი მხოლოდ 35% იყო. აშკარაა, რომ პუნქტუალურობის საერთო მაჩვენებელი პირველი მონიტორინგის შემდეგ საგრძნობლად გაუმჯობესდა.

ამ მხრივ მდგომარეობა პირველი და მეორე მონიტორინგის პერიოდებთან შედარებით ბათუმის საქალაქო და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოებშიც

[12] ადმინისტრაციული სამართლის მონიტორინგის სახელმძღვანელო. ფოლკე ბერნადოტეს აკადემიისა და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისის ერთობლივი ინიციატივა, სამუშაო ვერსია, გვ. 80.

[13] საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილი; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 59-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

გაუმჯობესებულია. მესამე მონიტორინგის პერიოდში ამ სასამართლოებში დროულად სხდომათა თითქმის 76% (119-იდან 91) დაიწყო. მეორე მონიტორინგის პერიოდში შესაბამისი მაჩვენებელი 55% (112-იდან 61) იყო, ხოლო პირველი მონიტორინგის პერიოდში – მხოლოდ 30%.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოში დანიშნულ დროს სხდომათა 64% (84-იდან 54) დაიწყო,[14] გორის რაიონულ სასამართლოში – მხოლოდ 38% (24-იდან 9),[15] ხოლო ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში – 33% (6-იდან 2).

თბილისის საქალაქო სასამართლოში 10 წუთზე მეტი დაგვიანებით სხდომათა მხოლოდ 13% (299-იდან 39) დაიწყო. ეს მაჩვენებელი დაახლოებით იგივე იყო მეორე მონიტორინგის პერიოდში, როდესაც 10 წუთზე მეტით სხდომათა 14%-ის (147-იდან 20) დაწყება ფერხდებოდა. აღსანიშნავია, რომ პირველი მონიტორინგის პერიოდში 10 წუთზე მეტი დაგვიანებით სხდომათა თითქმის 40% იწყებოდა. ამდენად, აშკარა გაუმჯობესების ტენდენცია იკვეთება.

ბათუმის საქალაქო და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოებში 10 წუთზე მეტი დაგვიანებით სხდომათა თითქმის 10% (119-იდან 12) დაიწყო. ეს მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა მეორე მონიტორინგის პერიოდთან შედარებით, როდესაც 10 წუთზე მეტით სხდომათა 37%-ის დაწყება ფერხდებოდა, და პირველი მონიტორინგის პერიოდთან შედარებით, როდესაც 10 წუთზე მეტი დაგვიანებით სხდომათა 67% იწყებოდა.

ქუთაისის საქალაქო და ზუგდიდის რაიონულ სასამართლოებში 10 წუთზე მეტი დაგვიანებით სხდომათა 33% დაიწყო, ხოლო გორის რაიონულ სასამართლოში – მხოლოდ 13% (24-იდან 3).

მესამე მონიტორინგის პერიოდში მოსამართლეებმა თბილისის საქალაქო სასამართლოში სხდომის გვიან დაწყების მიზეზი სხდომათა 46%-ის (39-იდან 18) შემთხვევაში გამოაცხადეს. მეორე მონიტორინგის პერიოდში დაგვიანების მიზეზი სხდომათა მხოლოდ 30%-ის შემთხვევაში ცხადდებოდა, ხოლო პირველი მონიტორინგის პერიოდში შესაბამისი მაჩვენებელი 26% იყო. ჩვენმა დამკვირვებლებმა თბილისის საქალაქო სასამართლოში სხდომის გვიან დაწყების მიზეზის დადგენა დამატებით სხდომათა 54%-ის (39-იდან 21) შემთხვევაში შეძლეს. ამ სხდომათა 31%-ის (39-იდან 12) შემთხვევაში დაგვიანების მიზეზი წინა

---

[14] „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მონიტორინგი 2013 წლის 1 თებერვალს დაიწყო.

[15] მეორე მონიტორინგის პერიოდში გორის რაიონული სასამართლოს მონაცემები თელავის საქალაქო სასამართლოს მონაცემებთან ერთად შეფასდა. ამ ანგარიშში მხოლოდ გორის საქალაქო სასამართლოს მონაცემებია შეტანილი.

სხდომის დაგეგმილზე გვიან დასრულება იყო, ხოლო 5%-ის (39-იდან 2) შემთხვევაში – სხდომაზე ერთ-ერთი მხარის დაგვიანებით გამოცხადება. დანარჩენ შემთხვევებში სხდომის დაწყების 10 წუთზე მეტით შეფერხების მიზეზი ვერ დადგინდა.[16]

ბათუმის საქალაქო და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოებში მოსამართლეებმა სხდომის 10 წუთზე მეტი დაგვიანებით დაწყების მიზეზი სხდომათა 50%-ის (12-იდან 6) შემთხვევაში გამოაცხადეს. მეორე მონიტორინგის პერიოდში შესაბამისი მაჩვენებელი მხოლოდ 10% იყო. სხდომა გვიან ყველა შემთხვევაში წინა სხდომის დაგეგმილზე გვიან დასრულების გამო დაიწყო.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეებმა სხდომის 10 წუთზე მეტი დაგვიანებით დაწყების მიზეზი სხდომათა 61%-ის (28-იდან 17) შემთხვევაში გამოაცხადეს. ამ სხდომათა 50%-ის (28-იდან 14) შემთხვევაში დაგვიანების მიზეზი წინა სხდომის დაგეგმილზე გვიან დასრულება იყო. ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში 6 სხდომიდან მხოლოდ 2 დაიწყო 10 წუთზე მეტი დაგვიანებით.

რადგან „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო" პროცესების მიმდინარეობას ბოლომდე აკვირდება, ჩვენმა წარმომადგენლებმა ისიც აღნუსხეს, თუ რამდენი დღე სჭირდებოდა სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანისათვის. თბილისის საქალაქო სასამართლოში საბოლოო გადაწყვეტილება საშუალოდ დაახლოებით 17 დღის ვადაში გამოიტანებოდა, ბათუმის საქალაქო და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოებში – 25 დღის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში – 23 დღის ვადაში, გორის რაიონულ სასამართლოში – 21 დღის ვადაში, ხოლო ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში – 5 დღის ვადაში. საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანას თბილისის საქალაქო სასამართლოში მაქსიმუმ 107 დღე დასჭირდა, ბათუმის საქალაქო და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოებში – 207 დღე, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში – 96 დღე, გორის რაიონულ სასამართლოში – 85 დღე, ხოლო ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში – 23 დღე. სასამართლოებს გადაწყვეტილებები საშუალოდ 2 თვის ვადაში გამოჰქონდათ, როგორც ამას ითვალისწინებს კანონი, რომელიც განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმის შემთხვევაში ვადის 5 თვემდე გახანგრძლივების შესაძლებლობასაც ადგენს. აღსანიშნავია, რომ რეგიონულ სასამართლოებს – ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გარდა – საბოლოო გადაწყვეტილების გამოსატანად თბილისის საქალაქო სასამართლოზე მეტი დრო დასჭირდათ. ეს შედეგი ცალკე აღნიშვნას

[16] იხ. დანართი 3, გრაფიკი 3.3 და 3.4.

იმსახურებს იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს უფრო მეტი საქმე აქვს განსახილველი.

**გრაფიკი 8. დაგვიანებით/დროულად დაწყებული სხდომები თბილისი**




**გრაფიკი 9. დაგვიანებით/დროულად დაწყებული საქმეები ბათუმი/ხელვაჩაური**




**გრაფიკი 10. დაგვიანებით/დროულად დაწყებული სხდომები სასამართლოს მონიტორინგის მე-3 პერიოდი**



## *რეკომენდაციები*

პუნქტუალურობის მხრივ მნიშვნელოვანი გაუმჯობესება აღინიშნება თბილისისა და ბათუმის საქალაქო და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოებში. გორისა და ზუგდიდის რაიონული სასამართლოები ამ კუთხით ჯერ კიდევ საჭიროებენ გაუმჯობესებას – აღნიშნულ სასამართლოებში დროულად სხდომათა 50%-ზე ნაკლები იწყებოდა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს, რამდენად მნიშვნელოვანია მოსამართლის მიერ სხდომის დაგვიანებით დაწყების მიზეზის გამოცხადება, მით უმეტეს, თუ დაგვიანება 10 წუთს აღემატება. საჭიროა შემდგომი ნაბიჯების გადადგმა სხდომის დროულად დაწყების წესად დასამკვიდრებლად. ეს სხდომაზე დამსწრე პირთა თვალში გაზრდის სასამართლო სისტემის ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას.

## საჯარო განხილვის უფლება

საქმის საჯაროდ განხილვის უფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით, რომელშიც აღნიშნულია, რომ სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე.[17] „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი ასევე აღიარებს ამ უფლებას და მიუთითებს, რომ სასამართლოში ყველა საქმე განიხილება ღია სხდომაზე, დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა კი დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.[18] საჯარო განხილვის უფლება უზრუნველყოფილია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციითაც, რომელშიც აღნიშნულია, რომ სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამოკვლევისას ყველას აქვს მისი საქმის სამართლიანი და საჯარო განხილვის უფლება.[19] კონვენციის მე-6 მუხლი თავდაპირველად კონკრეტულად ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაზე არ ვრცელდებოდა,[20] თუმცა საქმეებზე – *Ringeisen v. Austria* და *König v. Germany* – ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-6 მუხლი უნდა გავრცელდეს ყველა სამართალწარმოებაზე, მათ შორის, კერძო და საჯარო პირებს შორის დავაზე და ადმინისტრაციული სამართლის გამოყენების შემთხვევაზე.[21] გარდა ამისა, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი მის წევრ ქვეყნებს ავალდებულებს, უზრუნველყონ, რომ ყველა მოქალაქე საკუთარი სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრისას სარგებლობდეს მისი საქმის სამართლიანი და საჯარო განხილვის უფლებით.[22] ამ მხრივ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო მექანიზმია ეუთოს წევრი ქვეყნების ვალდებულება, სანდოობის ამაღლების ღონისძიების სახით ნება დართონ დამკვირვებლებს, დაესწრონ სასამართლო სხდომებს.[23]

იმისათვის, რომ სრულად იქნეს გარანტირებული საქმის საჯაროდ განხილვის უფლება, სასამართლოებმა უნდა უზრუნველყონ სხდომაზე ყველა დაინტერესებული მხარის თავისუფალი დასწრება და მათი წინასწარ გაფრთხილება ყოველი სხდომის გამართვის თარიღისა და დროის თაობაზე. ამავე

---

[17] საქართველოს კონსტიტუცია, 85-ე მუხლი.

[18] საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, მე-13 მუხლი.

[19] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 04/11/1950, მე-6 მუხლი.

[20] იხ. შენიშვნა 27, ადმინისტრაციული სამართლის მონიტორინგის სახელმძღვანელო, გვ. 40.

[21] *Ringeisen v Austria* (1971), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 94-ე პარაგრაფი; *König v Germany* (1978), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 89-ე და 90-ე პარაგრაფები.

[22] სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი, ხელი მოეწერა 16/12/66, ძალაშია 23/03/67-იდან, მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტი.

[23] ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტი, მე-12 პარაგრაფი.

დროს, სხდომაზე საზოგადოების დასწრებასთან დაკავშირებით რაიმე შეზღუდვის შემთხვევაში შესაბამისმა სასამართლომ ან ტრიბუნალმა ნათლად უნდა განმარტოს ამის მიზეზი,[24] ხოლო ამგვარი შეზღუდვის საფუძვლის არარსებობისას ადმინისტრაციულმა სასამართლომ საზოგადოება მისთვის საინტერესო სხდომაზე თავისუფალი დასწრების ადეკვატური საშუალებებით უნდა უზრუნველყოს.[25]

დაინტერესებულ მხარეებს ასევე მკაფიო წარმოდგენა უნდა შეექმნათ დავის შინაარსზე, ანუ მათ უნდა შეეძლოთ განხილვაში მონაწილე ყველა მნიშვნელოვანი მხარის, მათ შორის, მოწმეების, ექსპერტების, სპეციალისტების, თარჯიმნების, მოსამართლეებისა და სხდომის მდივნების, განცხადებებისა და კომენტარების მოსმენა. ამიტომ მოსამართლეებმა უნდა უზრუნველყონ, რომ როგორც მათი, ისე სასამართლო დარბაზში მსხდომი პირების განცხადებები საკმარისად ხმამაღალი და მკაფიო იყოს იმისათვის, რომ სხდომაზე დამსწრე რიგითმა მოქალაქეებმა მხარეებს შორის განხილული საკითხების მოსმენა და გაგება შეძლონ.

## ძირითადი მიგნებები

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მესამე მონიტორინგის პერიოდის ზოგადი დაკვირვებები მეორე მონიტორინგის პერიოდის შედეგების მსგავსია (მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმეების გარდა, რომლებიც წინა ანგარიშში ცალკე იყო განხილული). კერძოდ, საქართველოში ადმინისტრაციულ სასამართლო პროცესებზე დასწრებისა და ჩანაწერების გაკეთების საშუალება ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს. სასამართლო დარბაზის მოძებნაში ჩვენს დამკვირვებლებს ხშირად ეხმარებოდნენ მანდატურები და სხდომის მდივნები. დამკვირვებლებს ასევე შესაძლებლობა ჰქონდათ, სხდომის მიმდინარეობისას თავისუფლად გაეკეთებინათ ჩანაწერები. მიუხედავად ამისა, დაფიქსირდა შემთხვევები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობითა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით გარანტირებული საჯარო განხილვის უფლების დარღვევად შეიძლება იქნეს მიჩნეული.

საქმის განხილვის ხელმისაწვდომობის ერთ-ერთი ზოგადი მაჩვენებელია დავის საფუძვლის ან/და კანონის შესაბამისი მუხლების გამოქვეყნება. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას თბილისის საქალაქო სასამართლოში, სადაც აღნიშნული ინფორმაცია არცერთი იმ საქმის შემთხვევაში არ გამოქვეყნებულა, რომელზედაც ჩვენი ორგანიზაცია მონიტორინგს ახორციელებდა. რეგიონულ

---

[24] იხ. შენიშვნა 27, ადმინისტრაციული სამართლის მონიტორინგის სახელმძღვანელო, გვ. 43.
[25] იხ. შენიშვნა 8, ადმინისტრაციული სამართლის მონიტორინგის სახელმძღვანელო, გვ. 67; *Van Meurs v. The Netherlands*, ადამიანის უფლებათა კომიტეტის შეტყობინება 215/1986, UN Doc CCPR/C/39/D/215/1986 (1990), 6.2 პარაგრაფი.

სასამართლოებში ბევრად უკეთესი მდგომარეობაა – ჩვენ მიერ დაკვირვებულ საქმეებზე დავასთან დაკავშირებული მუხლები ხშირად ოფიციალურ გრაფიკში ქვეყნდებოდა. ბათუმის საქალაქო და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოებში აღნიშნული ინფორმაცია ჩვენ მიერ დაკვირვებულ სხდომათა 91%-ის (119-იდან 108) შემთხვევაში გამოქვეყნდა, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში – სხდომათა 75%-ის (84-იდან 63) შემთხვევაში, გორის რაიონულ სასამართლოში – სხდომათა 96%-ის (24-იდან 23) შემთხვევაში, ხოლო ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში – ყველა (6) სხდომის შემთხვევაში.

საქმის განხილვის ხელმისაწვდომობის კიდევ ერთი ზოგადი მაჩვენებელია სხდომათა ოფიციალურ განრიგში გამოქვეყნება. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ დამკვირვებლებმა დაადგინეს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში ამ კვლევაში შეტანილ ადმინისტრაციულ საქმეთა მხოლოდ 5%-ის (299-იდან 16) შესახებ ინფორმაცია არ გამოქვეყნებულა. მეორე მონიტორინგის პერიოდში შესაბამისი მაჩვენებელი 16% (147-იდან 24) იყო, ხოლო პირველი მონიტორინგის პერიოდში – 13%. ბათუმის საქალაქო და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოებში აღნიშნული ინფორმაცია სხდომათა თითქმის 19%-ის (119-იდან 22) შემთხვევაში არ გამოქვეყნებულა. ქუთაისის საქალაქო სასამართლოში უკეთესი მდგომარეობაა – ინფორმაცია სხდომათა მხოლოდ 2%-ის (84-იდან 2) შემთხვევაში არ გამოქვეყნებულა. გორის რაიონულ სასამართლოში შესაბამისი მაჩვენებელი თითქმის 8%-ია (24-იდან 2). ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში ინფორმაცია 6 სხდომიდან მხოლოდ 1 შემთხვევაში არ გამოქვეყნებულა.

მესამე მონიტორინგის პერიოდი 2013 წლის 6 მარტს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონში ცვლილებების შეტანას დაემთხვა. სხვა საკითხებთან ერთად ცვლილებები აუდიო- და ვიდეოჩაწერას და სხდომის ტრანსლირებას შეეხებოდა. ახალი რეგულაციების მიხედვით, სასამართლო სხდომა ღიაა მასმედიის წარმომადგენლებისათვის. აუდიო- და ვიდეოჩაწერის განხორციელება და სხდომის ტრანსლირება, როგორც წესი, დასაშვებია, თუმცა არსებობს განსაკუთრებული გარემოებები, როდესაც მოსამართლეს დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე შეუძლია შეზღუდოს გადაღება.

მესამე მონიტორინგის პერიოდში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ დაკვირვებულ სხდომებზე აუდიო- და ვიდეოჩაწერის შემთხვევები არ დაფიქსირებულა და არც ჩაწერა მოუთხოვიათ. ამდენად, შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაცია არ გვაქვს.

აღსანიშნავია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში განუსაზღვრელი ვადით 89 საქმე გადაიდო. ჩვენმა დამკვირვებლებმა გადადებული საქმეების განხილვის თარიღებისა და დროის შესახებ ინფორმაცია ვერ მოიპოვეს. ამის გამო მოცემული

შემთხვევები ამ ანგარიშში არ შესულა. აღნიშნული სხდომების გამართვის თარიღების დასადგენად ჩვენს დამკვირვებლებს კავშირი აქვთ სხდომის მდივნებთან და მოსამართლეთა თანაშემწეებთან. სასამართლო განხილვების გაგრძელების თაობაზე ინფორმაციის მოწოდების შემთხვევაში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ დამკვირვებლები სხდომებს დაესწრებიან და აღნიშნული საქმეები ჩვენს მომდევნო ანგარიშში აისახება.

მესამე მონიტორინგის პერიოდში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ დამკვირვებლებმა დააფიქსირეს, რომ მოსამართლეები ზოგჯერ სხდომაზე აუდიოჩაწერის შეჩერებას ითხოვდნენ. თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეებმა სხდომის მდივნებს აუდიოჩაწერის შეჩერება სხდომათა მხოლოდ 6%-ის (157-იდან 9) შემთხვევაში მოსთხოვეს, მეორე მონიტორინგის პერიოდში კი ეს სხდომათა 30%-ის შემთხვევაში მოხდა. მესამე მონიტორინგის პერიოდში ბათუმის საქალაქო და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოებში შესაბამისი მაჩვენებელი 44% (44-იდან 20) იყო, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში – თითქმის 67% (33-იდან 22), გორის რაიონულ სასამართლოში 1 ამგვარი ბრძანება გაიცა, ხოლო ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში ჩაწერა 5 სხდომიდან 2-ზე შეჩერდა. მიუხედავად იმისა, რომ არ გვაქვს სტატისტიკური მონაცემები იმის თაობაზე, თუ რის გამო სთხოვდნენ მოსამართლეები სხდომის მდივნებს ჩაწერის შეჩერებას, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ დამკვირვებლების მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ მოსამართლეს საშუალება ჰქონოდა, მხარეებს არაფორმალურად გასაუბრებოდა.[26]

[26] გასაუბრება ხშირად საქმის მორიგებით დასრულების შესაძლებლობას უკავშირდებოდა და განხილული საკითხის არსთან მიმართებით რაიმე სერიოზული დარღვევა არ დაფიქსირებულა.

**გრაფიკი 11. დავის მუხლის გამოქვეყნება**




## *რეკომენდაციები*

სასამართლომ უნდა უზრუნველყოს ყველა დაგეგმილი სხდომის თაობაზე ინფორმაციის სათანადოდ გამოქვეყნება. სხდომის გამართვის თარიღისა და დროის გამოქვეყნებას არსებითი მნიშვნელობა აქვს. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია ბათუმის საქალაქო და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოებში, სადაც შესაბამისი ინფორმაცია დაკვირვებულ სხდომათა თითქმის 19%-ის შემთხვევაში არ გამოქვეყნებულა.

სხდომის განუსაზღვრელი ვადით გადადების შემთხვევაში სასამართლოს ადმინისტრაციულმა პერსონალმა სხდომის გამართვის თარიღისა და დროის შესახებ ინფორმაციის ყველა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომობა უნდა უზრუნველყოს.

მიუხედავად იმისა, რომ დავის შესახებ კანონის შესაბამისი მუხლების გამოქვეყნების ვალდებულება კანონით გათვალისწინებული არ არის, აღნიშნული ინფორმაციის სასამართლოების ვებგვერდებზე ან ელექტრონულ დაფებზე განთავსება დაინტერესებულ პირებს სასამართლო დარბაზში შესვლამდე წარმოდგენას შეუქმნის იმის თაობაზე, თუ რა საკითხები იქნება განხილული ამა თუ იმ სხდომაზე. ამგვარი ინფორმაციის გამოქვეყნება ასევე გაზრდის საჯაროობას და ხელს შეუწყობს საჯარო განხილვის უფლებით სრულად სარგებლობას. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ რეგიონული სასამართლოები ამ კუთხით სამაგალითო პრაქტიკას მისდევენ. ჩვენი რეკომენდაციაა, თბილისის საქალაქო სასამართლომ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მეტი ძალისხმევა გამოიჩინოს, რადგან ამ სასამართლოში ასეთი ინფორმაცია არცერთი დაკვირვებული სხდომის შემთხვევაში არ გამოქვეყნებულა, რითაც მისი პრაქტიკა სრულიად

ეწინააღმდეგება ბათუმისა და ქუთაისის საქალაქო, ხელვაჩაურის, გორისა და ზუგდიდის რაიონულ სასამართლოებში დამკვიდრებულ პრაქტიკას. წინა ორი მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით უნდა ითქვას, რომ აღნიშნული პრობლემა თბილისის საქალაქო სასამართლოში სულ დგას.

## მოსამართლის მიერ სხდომის წარმართვის პრინციპი

სხდომის წარმართვასთან დაკავშირებული ზოგადი პრინციპების მიხედვით, მოსამართლემ უნდა დაიცვას პროცედურული ვადები, კანონით გათვალისწინებული თანამიმდევრობით გაიაროს ყველა პროცედურული ეტაპი, გამოიკვლიოს საქმის ყველა მხარე და გამოკვლეული ინფორმაციის საფუძველზე დაადგინოს სიმართლე. მოსამართლის მიერ საქმის განხილვის წარმართვას სარჩელის წარდგენის მომენტიდან საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.[27]

ზემოაღნიშნულ ზოგად პრინციპებთან ერთად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსები ადგენს კონკრეტულ პროცედურებს, რომელთა დაცვაც ევალება მოსამართლეს საქმის ადმინისტრაციული წესით განხილვისას. მაგალითად, მოსამართლემ უნდა გამოაცხადოს განსახილველი საქმე და სასამართლო შემადგენლობა, გადმოსცეს საქმის შინაარსი, გააფრთხილოს სხდომაზე დამსწრე პირები წესრიგის დარღვევის შემთხვევაში შესაძლო შედეგების შესახებ და განუმარტოს მხარეებს მათი უფლებები, მათ შორის, მოსამართლის აცილებისა და საქმის მორიგებით დასრულების უფლებები. საბოლოო გადაწყვეტილების გამოცხადებისას მოსამართლემ უნდა მიუთითოს მტკიცებულებებზე, რომლებსაც დაეყრდნო იგი საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანისას, ასევე გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებულ კანონის შესაბამის მუხლებსა და პროცედურაზე.[28] საქმის ადმინისტრაციული წესით განხილვისას მოსამართლე ასევე ვალდებულია შეასწოროს პროცედურული შეცდომები და სხდომის მიმდინარეობისას მხარეებს ყველა მნიშვნელოვანი პროცედურა განუმარტოს.[29]

მოსამართლემ განუხრელად უნდა დაიცვას საქმის განხილვასთან დაკავშირებული კანონმდებლობით დადგენილი ყველა პროცედურა და მხარეთა თანხმობის გარეშე საქმის განხილვის არცერთი ეტაპი არ უნდა გამოტოვოს. მოსამართლე ასევე ვალდებულია სასამართლო დარბაზში უზრუნველყოს წესრიგის დაცვა, რათა დავაში მონაწილე მხარემ თავისუფლად, ყოველგვარი შეფერხებისა და დაბრკოლების გარეშე შეძლოს მტკიცებულებათა წარდგენა, საკუთარი პოზიციის დაცვა, მოწინააღმდეგე მხარის არგუმენტების მოსმენა და მოწმეებისათვის კითხვების დასმა.

[27] მ. კოპალეიშვილი და სხვანი, გვ. 28.
[28] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 210-ე, 211-ე, 214-ე, 217-ე, 218-ე და 257-ე მუხლები.
[29] მ. კოპალეიშვილი და სხვანი, გვ. 28.

აღნიშნული პროცედურების სათანადოდ შესრულება ადმინისტრაციული სამართალწარმოების მარეგულირებელი როგორც ზოგადი, ისე კერძო პრინციპების სრული დაცვის გარანტიაა. სხდომის სათანადოდ წარმართვა, თავის მხრივ, უზრუნველყოფს მხარის მიერ მისი საპროცესო უფლებებით სარგებლობას, მათ შორის, ისეთი უფლებებით, როგორებიცაა: საქმის დაცვა, არგუმენტებისა და მტკიცებულებების წარდგენა, მეორე მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების შემოწმება, მოწმეებისა და ერთმანეთისათვის კითხვების დასმა.

საქმე მთავარ სხდომაზე, როგორც წესი, მხოლოდ მას შემდეგ იხილება, რაც ის მოსამზადებელ სხდომას გაივლის.[30] ამდენად, ივარაუდება, რომ საქმის მთავარ სხდომაზე განხილვამდე მხარეებს აქვთ ინფორმაცია საკუთარი უფლებების შესახებ, მათი ვინაობა შემოწმებულია და მათ საქმის მორიგებით დასრულებაც შეთავაზებული აქვთ. ამიტომ პროცედურული მოთხოვნების დაცვას მოსამზადებელ სხდომაზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. მიუხედავად ამისა, მთავარი სხდომის გახსნისას მოსამართლე კვლავ ვალდებულია დაიცვას პროცედურული მოთხოვნები.[31]

### ძირითადი მიგნებები

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" დამკვირვებლები ახორციელებდნენ როგორც მოსამზადებელი, ისე მთავარი სხდომის გახსნისას მოსამართლის მიერ საქმის არსის მოკლედ აღწერის მონიტორინგს. შედეგებმა აჩვენა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეები მოსამზადებელ სხდომაზე კვლავ ნაკლებად უზრუნველყოფენ საქმის შინაარსის მოკლედ გადმოცემას, თუმცა ამ თვალსაზრისით მთავარ სხდომაზე გაუმჯობესება აღინიშნება. მესამე მონიტორინგის პერიოდში მოსამართლეებმა თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმის არსი მოკლედ მოსამზადებელი სხდომების 72.2%-ის (90-იდან 65) შემთხვევაში არ აღწერეს. ეს მნიშვნელოვანი ჩამორჩენაა მეორე მონიტორინგის პერიოდთან შედარებით, როდესაც მოსამართლეები საქმის შინაარსს მოკლედ მოსამზადებელი სხდომების თითქმის 50%-ის შემთხვევაში გადმოსცემდნენ. თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეები მთავარ სხდომებზე განსხვავებულად იქცეოდნენ – მათ საქმის არსი მოკლედ ამ სხდომების მხოლოდ 18.4%-ის (141-იდან 26) შემთხვევაში არ აღწერეს. მეორე მონიტორინგის პერიოდში მოსამართლეები საქმის არსს მოკლედ მთავარი

[30] მოსამზადებელი სხდომა შეიძლება გაიმართოს იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს საფუძველი ვარაუდისა, რომ მხარეები საქმეს მორიგებით დაამთავრებენ, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, აგრეთვე თუ ასეთი სხდომა მნიშვნელოვანია საქმის მომზადებისათვის. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 205-ე მუხლი.
[31] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 203-ე, 205-ე, 207-ე და 210-ე მუხლები.

სხდომების თითქმის 50%-ის შემთხვევაში არ აღწერდნენ. ამ მხრივ თბილისის საქალაქო სასამართლოს სტატისტიკა რეგიონულ სასამართლოებთან შედარებით მკვეთრად უარყოფითია – საქმის არსის მოკლედ აღწერას ეს სასამართლოები უფრო უზრუნველყოფდნენ.

ბათუმის საქალაქო და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოებში მოსამართლეებმა საქმის არსი მოკლედ მოსამზადებელი სხდომების მხოლოდ 6.5%-ის (31-იდან 2) და მთავარი სხდომების 7.1%-ის (27-იდან 1) შემთხვევაში არ აღწერეს. გორის რაიონულ სასამართლოში საქმის არსი 7 სხდომიდან მხოლოდ 1 მოსამზადებელ სხდომაზე და 2 მთავარ სხდომაზე არ იქნა მოკლედ აღწერილი. აღსანიშნავია, რომ ყველაზე კარგი შედეგები ქუთაისის საქალაქო და ზუგდიდის რაიონულმა სასამართლოებმა აჩვენეს, სადაც მოსამართლეებმა საქმის არსი მოკლედ ყველა (როგორც მოსამზადებელ, ისე მთავარ) სხდომაზე აღწერეს.

**გრაფიკი 12. მოსამართლის მიერ საქმის არსის მოკლედ აღწერის უზრუნველყოფა (მოსამზადებელი სხდომის გახსნისას)**



**გრაფიკი 13. მოსამართლის მიერ საქმის არსის მოკლედ აღწერის უზრუნველყოფა (მთავარი სხდომის გახსნისას)**




„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ ასევე აკვირდებოდა, განემარტათ თუ არა მხარეებს მათი უფლებები. თბილისის საქალაქო სასამართლოს და რეგიონული სასამართლოების შედეგებს შორის ისევ დიდი სხვაობაა. აშკარაა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეები კვლავ არ განუმარტავდნენ მხარეებს მათ უფლებებს. თბილისის საქალაქო სასამართლოში მხარეებს უფლებები მოსამზადებელ სხდომათა მხოლოდ 13%-ის (90-იდან 12) და მთავარ სხდომათა მხოლოდ 6%-ის (141-იდან 8) შემთხვევაში განემარტათ. ამ თვალსაზრისით მესამე მონიტორინგის შედეგები თითქმის ისეთივეა, როგორიც მეორე მონიტორინგისა – შესაბამისად, 13% და 8%. ბათუმის საქალაქო და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოებში ბევრად უკეთესი ვითარებაა – მხარეთა უფლებები მოსამზადებელ სხდომათა 77%-ის (31-იდან 24) და მთავარ სხდომათა 67%-ის (27-იდან 18) შემთხვევაში განიმარტა. ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მხარეებს უფლებები მოსამზადებელ სხდომათა 33%-ის (9-იდან 3) და მთავარ სხდომათა 34%-ის (32-იდან 11) შემთხვევაში განემარტათ, ხოლო გორის რაიონულ სასამართლოში – მოსამზადებელ სხდომათა 39%-ის (13-იდან 5) და მთავარ სხდომათა 43%-ის (7-იდან 3) შემთხვევაში. ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში ასეთი რამ 6 მთავარი სხდომიდან არცერთზე არ მომხდარა. თუმცა მოყვანილი სტატისტიკა მხარეებისათვის მათი უფლებების განმარტების მნიშვნელობაზე მეტყველებს, განსაკუთრებით თბილისის საქალაქო სასამართლოსა და რეგიონულ სასამართლოებს შორის კონტრასტის წარმოჩენის თვალსაზრისით, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოები ვალდებული არ არიან, განუმარტონ მხარეებს მათი უფლებები.

ზემოთ მოყვანილი სტატისტიკის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის საქმეები, რომლებზედაც მოსამართლეები მხარეს მის უფლებებს იმ შემთხვევაში განუმარტავდნენ, თუ იგი ადვოკატით არ იყო წარმოდგენილი. თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსარჩელეებს წარმომადგენლები 14 მოსამზადებელ სხდომაზე და 10 მთავარ სხდომაზე არ ჰყავდათ; მხარეებს მათი უფლებები მხოლოდ 2 მოსამზადებელ სხდომაზე განემარტათ, მთავარ სხდომაზე კი ასეთი რამ არცერთ შემთხვევაში არ მომხდარა. ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მოსარჩელეებს წარმომადგენელი 3 მოსამზადებელ სხდომაზე არ ჰყავდათ, მთავარ სხდომაზე კი ასეთი შემთხვევა არ ყოფილა; მხარეებს მათი უფლებები 2 მთავარ სხდომაზე განემარტათ. გორის რაიონულ სასამართლოში მოსარჩელეებს წარმომადგენელი მხოლოდ 1 მოსამზადებელ და 1 მთავარ სხდომაზე არ ჰყავდათ; მოსამართლემ მათ უფლებები ორივე შემთხვევაში განუმარტა. ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში მოსარჩელეებს წარმომადგენელი მხოლოდ 1 მოსამზადებელ სხდომაზე არ ჰყავდათ; მოსამართლემ მათ უფლებები არ განუმარტა. ბათუმის საქალაქო და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოებში მოსარჩელეებს წარმომადგენელი ყველა სხდომაზე ჰყავდათ.

**გრაფიკი 14. მოსამართლის მიერ მხარეთათვის მათი უფლებების განმარტება (მოსამზადებელი სხდომა)**



თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეებმა მხარეებს სხდომის ეტაპების მნიშვნელობა ჩვენ მიერ დაკვირვებული სხდომების მხოლოდ 7.6%-ის (157-იდან 11) შემთხვევაში განუმარტეს. ეს მკვეთრი ჩამორჩენაა მეორე მონიტორინგის პერიოდთან შედარებით, როდესაც შესაბამისი მაჩვენებელი 13.6% იყო. ამასთანავე, რეგიონული სასამართლოების ფონზე აშკარად ჩანს თბილისის საქალაქო სასამართლოს დაბალი შედეგი. რეგიონულ სასამართლოებში რამდენიმე შემთხვევაში აღნიშნული ვალდებულების შესრულების მაჩვენებელი თბილისის საქალაქო სასამართლოსას 10-ჯერ აღემატება.

ბათუმის საქალაქო და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოებში მხარეებს სხდომის ეტაპების მნიშვნელობა სხდომათა 64%-ის (44-იდან 28) შემთხვევაში განემარტათ, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში – 58%-ის (43-იდან 19) შემთხვევაში, ხოლო გორის რაიონულ სასამართლოში – 21%-ის (14-იდან 3) შემთხვევაში. ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში ასეთი რამ არცერთ სხდომაზე არ მომხდარა. რამდენადაც მნიშვნელოვანია სხდომაზე მოსამართლის მიერ მხარეებისათვის მათი უფლებების განმარტება, იმდენადვე არსებითია, რომ მოსამართლემ მხარეებს განუმარტოს სხდომის ეტაპების მნიშვნელობა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მხარეებს წარმომადგენლები არ ჰყავთ.

**გრაფიკი 15. მოსამართლემ განმარტა ეტაპების მნიშვნელობის ახსნა თბილისის საქალაქო სასამართლო**



**გრაფიკი 16 მოსამართლემ განმარტა ეტაპების მნიშვნელობის ახსნა ბათუმი/ხელვაჩაური**




**გრაფიკი 17. მოსამართლის მიერ ეტაპების მნიშვნელობის ახსნა სასამართლო მონიტორინგის პერიოდი #3**



„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ სტატისტიკის მიხედვით, მესამე მონიტორინგის პერიოდში მოსამართლეებს თბილისის საქალაქო სასამართლოში მხარეებისათვის მორიგება მოსამზადებელ სხდომათა თითქმის 61%-ის (83-იდან 55) და მთავარ სხდომათა 70%-ის (128-იდან 98) შემთხვევაში არ შეუთავაზებიათ. წინა მონიტორინგის პერიოდთან შედარებით ეს ყველაზე დაბალი პროცენტული მაჩვენებელია. გარდა ამისა, თბილისის საქალაქო სასამართლოს შედეგები სრულიად განსხვავდება რეგიონული სასამართლოების შედეგებისაგან.

ბათუმის საქალაქო და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოებში მოსამართლეებს მხარეებისათვის მორიგება მოსამზადებელ სხდომათა თითქმის 10%-ის (29-იდან 3) და მთავარ სხდომათა 11%-ის (27-იდან 3) შემთხვევაში არ შეუთავაზებიათ.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეებს მხარეებისათვის მორიგება მოსამზადებელ სხდომათა 33%-ის და მთავარ სხდომათა 50%-ის შემთხვევაში არ შეუთავაზებიათ, ხოლო გორის რაიონულ სასამართლოში – მოსამზადებელ სხდომათა 39%-ის (13-იდან 5) და მთავარ სხდომათა 57%-ის (7-იდან 4) შემთხვევაში. ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში მოსამართლეებმა მხარეებს მორიგება ყველა მთავარ სხდომაზე შესთავაზეს. მიზანშეწონილობის შემთხვევაში, სამართლის სწრაფად აღსრულებისათვის და ხარჯების შესამცირებლად მოსამართლეებმა მხარეებს მორიგება რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე უნდა შესთავაზონ.[32]

**გრაფიკი 18. მოსამართლემ მხარეებს მორიგება შესთავაზა (მთავარ სხდომაზე) თბილისი**




**გრაფიკი 19. მოსამართლემ მხარეებს მორიგება შესთავაზა (მთავარ სხდომაზე) ბათუმი/ხელვაჩაური**




[32] იხ. დანართი 5, გრაფიკი 5.26.

**გრაფიკი 20. მოსამართლემ მხარეებს მორიგება შესთავაზე (მთავარ სხდომაზე) სასამართლო მონიტორინგის პერიოდი 3**




„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო" მონიტორინგს ახორციელებდა ასევე იმასთან დაკავშირებით, განუმარტავდა თუ არა მოსამართლე მხარეებს მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და უთითებდა თუ არა გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძველს. საერთო ჯამში, იმ სხდომების შემთხვევაში, რომლებსაც ჩვენი წარმომადგენლები აკვირდებოდნენ, მოსამართლეები ამ პროცედურას წარმატებით ართმევდნენ თავს. თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეებს შუალედური გადაწყვეტილების გამოტანისას სამართლებრივი საფუძველი სხდომათა 8%-ის (157-იდან 12) შემთხვევაში არ მიუთითებიათ. მეორე მონიტორინგის პერიოდში შესაბამისი მაჩვენებელი 14% იყო. ბათუმის საქალაქო და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოებში, ქუთაისის საქალაქო, გორისა და ზუგდიდის რაიონულ სასამართლოებში მოსამართლეებმა გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძველი ყველა სხდომაზე მიუთითეს. მეორე მონიტორინგის პერიოდში ბათუმის საქალაქო და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოებში მოსამართლეებს სამართლებრივი საფუძველი სხდომათა

31%-ის შემთხვევაში არ მიუთითებიათ. აქედან გამომდინარე, ბათუმის საქალაქო და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოებში უკვე დიდი გაუმჯობესებაა.[33]

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ დაადგინა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას მოსამართლეები სათანადოდ იცავდნენ ზოგიერთ საპროცესო მოთხოვნას. თუმცა უმეტეს შემთხვევაში ეს პრაქტიკა თანამიმდევრული არ იყო და შესაბამისი საპროცესო მოთხოვნები ყოველთვის სრულად არ ყოფილა დაცული.

სასამართლოები ძირითადად იცავდნენ შემდეგ საპროცესო მოთხოვნებს:

- ცხადდებოდა განსახილველი საქმე;[34]
- ცხადდებოდა სასამართლო შემადგენლობა;[35]
- მხარეებს განემარტებოდათ მოსამართლის აცილებისა და შუამდგომლობის დაყენების უფლებები.[36]

ამ დადებითი პრაქტიკიდან გამონაკლისი იყო ქუთაისის საქალაქო და გორის რაიონული სასამართლოები. მოსამართლის აცილების უფლება ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მთავარ სხდომათა მხოლოდ 31%-ის (32-იდან 10) შემთხვევაში განიმარტა, ხოლო გორის რაიონულ სასამართლოში – მთავარ სხდომათა მხოლოდ 57%-ის (7-იდან 4) შემთხვევაში. იგივე, დაბალი მაჩვენებელი, 57% (7-იდან 4), დაფიქსირდა გორის რაიონულ სასამართლოში მთავარ სხდომაზე შუამდგომლობის დაყენების უფლების განმარტებასთან დაკავშირებით.

მესამე მონიტორინგის პერიოდში მოსამართლეებმა სასამართლო დარბაზში წესრიგის დამყარების მხრივ შესანიშნავად იმუშავეს. მოსამართლეები წესრიგს ყველა სასამართლოში ჩვენ მიერ დაკვირვებული სხდომების თითქმის 100%-ის შემთხვევაში უზრუნველყოფდნენ. ერთადერთი გამონაკლისი იყო თბილისის საქალაქო სასამართლო, სადაც მოსამართლეებმა სხდომაზე წესრიგი მხოლოდ 2%-ის (157-იდან 3) შემთხვევაში ვერ უზრუნველყვეს. წინა მონიტორინგის პერიოდებთან შედარებით ვითარება გაუმჯობესებულია. მეორე მონიტორინგის პერიოდში სასამართლო დარბაზში წესრიგის დაცვა ყველაზე პრობლემურ საკითხად წარმოჩნდებოდა ბათუმის საქალაქო და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოებში, სადაც მოსამართლეები წესრიგს სხდომათა 23%-ის შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფდნენ. თბილისის საქალაქო სასამართლოში შესაბამისი მაჩვენებელი მხოლოდ 5% იყო.

---

[33] იხ. დანართი 5, გრაფიკი 5.19.
[34] იხ. დანართი 5, გრაფიკი 5.1.
[35] იხ. დანართი 5, გრაფიკი 5.2.
[36] იხ. დანართი 5, გრაფიკები 5.5 და 5.6.

ისევე როგორც წინა მონიტორინგის პერიოდში, ახლაც მოსამართლეებს უმეტეს შემთხვევაში მხარეებთან კონსულტაციის გარეშე სხდომის არცერთი პროცედურული ეტაპი არ გამოუტოვებიათ, ანუ ისინი ან ყველა ეტაპს გადიოდნენ, ან მხარეებთან შეთანხმების შემდეგ ტოვებდნენ რომელიმე ეტაპს. მეორე მონიტორინგის პერიოდში თბილისის საქალაქო სასამართლოში სხდომათა 96%-ის (88-იდან 84), ხოლო ბათუმის საქალაქო და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოებში – სხდომათა 89%-ის (35-იდან 31) შემთხვევაში იყო დაცული. აღნიშნული ტენდენცია მესამე მონიტორინგის პერიოდშიც გრძელდებოდა: სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მოსამართლეებს მხარეებთან კონსულტაციის გარეშე არცერთი პროცედურული ეტაპი არ გამოუტოვებიათ თბილისის საქალაქო სასამართლოს სხდომათა 98%-ის (157-იდან 154) შემთხვევაში, ბათუმის საქალაქო და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოთა 44 სხდომიდან არცერთზე, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სხდომათა 97%-ის (33-იდან 32) შემთხვევაში, გორის რაიონული სასამართლოს 14 სხდომიდან არცერთზე და ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 5 სხდომიდან 4-ზე.[37]

მოსამართლემ მხარეების უკითხავად მტკიცებულებათა შემოწმების პროცედურა თბილისის საქალაქო სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხოლოდ 1 შემთხვევაში გამოტოვა. მან განაცხადა, რომ მტკიცებულება შემოწმებულად ითვლებოდა და რომ საქმის განხილვა შემდეგ პროცედურულ ეტაპზე გადადიოდა, რაც მხარეებს არ გაუპროტესტებიათ. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მოსამართლე ვალდებული იყო, სხდომის მომდევნო ეტაპზე გადასვლამდე მხარეებისათვის ეკითხა, რა ერჩიათ მათ: მტკიცებულებები განხილულიყო თუ ისინი შემოწმებულად ჩათვლილიყო.

ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასვლისას მოსამართლეებმა სხდომის შემდეგი ეტაპის დაწყება თბილისის საქალაქო სასამართლოში სხდომათა 96%-ის (157-იდან 151) შემთხვევაში გამოაცხადეს, ბათუმის საქალაქო და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოებში – ყველა სხდომაზე, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში – სხდომათა 97%-ის შემთხვევაში, გორის რაიონულ სასამართლოში – სხდომათა 71%-ის შემთხვევაში, ხოლო ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში – ყველა სხდომაზე. შედეგები გაუმჯობესებულია მეორე მონიტორინგის პერიოდთან შედარებით, როდესაც მოსამართლეები სხდომის მომდევნო ეტაპზე გადასვლას თბილისის საქალაქო სასამართლოში სხდომათა 94%-ის (88-იდან 83), ხოლო ბათუმის საქალაქო და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოებში – სხდომათა 89%-ის (35-იდან 31) შემთხვევაში აცხადებდნენ.

[37] იხ. დანართი 5, გრაფიკი 5.16.

თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეებმა სხდომათა მხოლოდ 28%-ის (157-იდან 44) შემთხვევაში გამოაცხადეს, რომელ მტკიცებულებებს ემყარებოდა მათი გადაწყვეტილება. ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ჩამორჩება მეორე მონიტორინგისას (41%). აღსანიშნავია ისიც, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს შედეგები რეგიონული სასამართლოებისაზე გაცილებით დაბალია. ბათუმის საქალაქო და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოებში მოსამართლეებმა სხდომათა 83%-ის (44-იდან 38) შემთხვევაში გამოაცხადეს, რომელ მტკიცებულებებს ემყარებოდა მათი გადაწყვეტილება. ამ თვალსაზრისით შედეგები გაუმჯობესებულია მეორე მონიტორინგის პერიოდთან შედარებით, როდესაც ბათუმის საქალაქო და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოებში მტკიცებულებები სხდომათა მხოლოდ 23%-ის შემთხვევაში ცხადდებოდა. მესამე მონიტორინგის პერიოდში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მტკიცებულებები სხდომათა 97%-ის (34-იდან 33) გამოცხადდა. ამ მხრივ ყველაზე წარმატებული იყო გორისა და ზუგდიდის რაიონული სასამართლოები, სადაც გადაწყვეტილების საფუძვლად გამოყენებული მტკიცებულებები ყველა (19) სხდომის შემთხვევაში გამოცხადდა.[38] შესაბამისი კანონმდებლობა მოსამართლეებისაგან მოითხოვს, ყველა შემთხვევაში უზრუნველყონ მტკიცებულებების გამოცხადება.

მესამე მონიტორინგის პერიოდში მოსამართლეები თბილისის საქალაქო, ქუთაისის საქალაქო, გორის რაიონულ და ზუგდიდის რაიონულ სასამართლოებში საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანისას გასაჩივრების პროცედურებს განმარტავდნენ ყველა სხდომაზე, რომელთა მონიტორინგსაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო" ახორციელებდა. მხოლოდ ბათუმის საქალაქო და ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოების მოსამართლეებმა ვერ გაართვეს თავი ამ პროცედურას და ისიც 44 სხდომიდან მხოლოდ 2-ზე.

## *რეკომენდაციები*

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა მოსამართლეთა მიერ მხარეებისათვის მათი უფლებებისა და სხდომის ეტაპების მნიშვნელობის განმარტებას არ ითვალისწინებს, ასეთი განმარტების უზრუნველყოფა მნიშვნელოვან მომენტად მიგვაჩნია, რადგან ამით თავიდან იქნება აცილებული რომელიმე მხარის გაუმართლებლად უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენება. ეს განსაკუთრებით ეხება თბილისის საქალაქო სასამართლოს, რომელსაც ამ მხრივ საგრძნობლად დაბალი შედეგები აქვს. აღნიშნული ღრმა შეშფოთების საფუძველია მაშინ, როცა კერძო მხარე ადვოკატით არ არის წარმოდგენილი, განსაკუთრებით ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას, რადგან ამ შემთხვევაში სახელმწიფო მოქალაქეებს უფასო

[38] იხ. დანართი 5, გრაფიკი 5.24.

იურიდიული დახმარებით არ უზრუნველყოფს. თითოეული მხარის მიმართ მოთმინებისა და თავაზიანობის გამოჩენა, განურჩევლად იმისა, ჰყავს მას წარმომადგენელი თუ არა, დიდად წაადგება სასამართლო სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლებას.

მიზანშეწონილია, ყველა მოსამართლე, განსაკუთრებით თბილისის საქალაქო სასამართლოში, აცხადებდეს მტკიცებულებას, რომელსაც საფუძვლად უდებს თავის გადაწყვეტილებას, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამას მათ კანონი ავალდებულებს, არამედ იმისთვისაც, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლო სისტემის გამჭვირვალობა.

მოსამართლე სხდომის გახსნისას საქმის არსს მოკლედ უნდა აღწერდეს. ეს შესაბამისი კანონის მოთხოვნაა და ხელს უწყობს საჯარო განხილვის უფლებით სრულად სარგებლობას, რადგან ამით სხდომაზე დამსწრე პირებს საშუალება ეძლევათ, გაეცნონ საქმის გარემოებებს. მესამე მონიტორინგის ანგარიში ცხადყოფს, რომ ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამზადებელ სხდომებზე გამოვლინდა.

მეორე და მესამე მონიტორინგებს შორის პერიოდში მიღწეული ოდნავი გაუმჯობესების მიუხედავად, ჩვენი რჩევაა, მოსამართლეები უფრო აქტიურად სთავაზობდნენ მხარეებს მორიგებას. იმ სხდომათა პროცენტული მაჩვენებელი, რომლებზედაც მოსამართლეები მხარეებს მორიგებას სთავაზობდნენ, კვლავ დაბალია, იმის გათვალისწინებითაც კი, რომ ზოგ შემთხვევაში მორიგების შეთავაზება რეალურად არაფერს შეცვლიდა. მორიგების შეთავაზება, სადაც ეს რეალურია, სწრაფ მართლმსაჯულებას უზრუნველყოფს.

## ინკვიზიციურობის პრინციპი (მოსამართლის ინიციატივა)

ტერმინები „შეჯიბრებითობა“ და „ინკვიზიციურობა“ იმ ორ პროცედურას აღწერს, რომლებიც დავის სასამართლო განხილვის გზით გადასაწყვეტად გამოიყენება. შეჯიბრებითობის პრინციპის შემთხვევაში მხარეები თავად ირჩევენ, რა სახის მტკიცებულებების წარდგენა სურთ სასამართლოს წინაშე, ხოლო ინკვიზიციურობის პრინციპის გამოყენებისას სასამართლოს შეუძლია გადაწყვეტილების გამოტანის მიზნით საგამოძიებო მოქმედებები ჩაატაროს ან საქმის ირგვლივ მტკიცებულებები შეაგროვოს.[39] საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ორივე პრინციპის გამოყენებას ითვალისწინებს. ამ პრინციპების ერთად გამოყენება მოსამართლეს საქმის გარემოებათა სრულყოფილად შესწავლასა და სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანაში დაეხმარება.

ინკვიზიციურობის პრინციპის მიხედვით, მოსამართლეს უფლება აქვს, საკუთარი ინიციატივით მოიპოვოს მტკიცებულებები, გონივრულობის ფარგლებში მიუთითოს მხარეებს, სთხოვოს მათ, დააკონკრეტონ მოთხოვნა ან/და დააზუსტონ შეგებებული სარჩელი, პროცესზე მოიწვიოს მესამე მხარე, მხარეებს გარკვეული მტკიცებულებების მოპოვება დაავალოს. მოსამართლე ასევე უფლებამოსილია, საქმის ყოველმხრივ შესწავლისა და სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანის მიზნით თავად შეკრიბოს მტკიცებულებები. მოსამართლის ზემოაღნიშნული უფლებამოსილებები საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსშია მოცემული. ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ამ კოდექსის მე-4 მუხლი, რომლის მიხედვით, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად.[40]

სამოქალაქო დავის გადაწყვეტისას მოსამართლეს აღნიშნული უფლებამოსილებები არ აქვს მინიჭებული, გამომდინარე იქიდან, რომ სამოქალაქო დავის მიზანი მხოლოდ კერძო ინტერესების დაცვაა. ამის საპირისპიროდ, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში სწორედ საჯარო ინტერესის არსებობა განსაზღვრავს მოსამართლის მიერ ინკვიზიციურობის უფლებამოსილების სათანადოდ გამოყენების გადამწყვეტ მნიშვნელობას. მოსამართლის მიერ ინკვიზიციურობის პრინციპის გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, როდესაც კერძო მხარე ადვოკატით არ არის წარმოდგენილი, რადგან ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას სახელმწიფო კერძო პირს უფასო იურიდიული დახმარებით არ უზრუნველყოფს. ამდენად, ასეთ შემთხვევაში

---

[39] David Jackson: Adversarial and Inquisitorial Systems Medico-Legal Society of NSW Inc Scientific Meeting, 2009 წლის მარტი, გვ. 1.

[40] საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მე-4 მუხლი.

არსებობს საფუძველი ვარაუდისა, რომ კერძო მხარე მოსამართლის დახმარების გარეშე პროცესში სრულფასოვან მონაწილეობას ვერ მიიღებს. ინკვიზიციურობის უფლებამოსილება მოსამართლეს წამყვან როლს ანიჭებს სახელმწიფო დაწესებულებასა და კერძო პირს შორის სამართლებრივი ბალანსის იმგვარად შენარჩუნებაში, რომ ხელყოფილი არ იქნეს საზოგადოებრივი ინტერესები. ამასთანავე, ეს არ ნიშნავს, რომ დავაში მონაწილე მხარეები სასამართლო განხილვის დროს პასიურები უნდა იყვნენ ან მოსამართლემ მათ უფლებების განხორციელებაში დაუსაბუთებელი შეზღუდვები უნდა დაუწესოს.[41] ადმინისტრაციულ ორგანოსთან დაპირისპირებულ კერძო პირს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, სასამართლო პროცესში სრულფასოვანი მონაწილეობა მიიღოს.[42]

იმის დასადგენად, იყენებდნენ თუ არა მოსამართლეები მათთვის მინიჭებულ ინკვიზიციურობის უფლებამოსილებას, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ დამკვირვებლები სხდომების მსვლელობისას მოსამართლეების მიერ მხარეებისათვის დასმულ კითხვებს ინიშნავდნენ. ჩვენი წარმომადგენლები ასევე აკვირდებოდნენ, რამდენად რთავდა მოსამართლე საქმეში მესამე მხარეს საკუთარი ინიციატივით, აძლევდა მხარეებს რეკომენდაციებს/განმარტებებს, ეხმარებოდა მათ მტკიცებულებების მოპოვებაში, ადგენდა საქმის გარემოებებიდან გამომდინარე რაიმე მნიშვნელოვან გარემოებას, თანამიმდევრულად იყენებდა მინიჭებულ უფლებამოსილებას, ეხმარებოდა მხარეებს მათი უფლებებით სრულყოფილად სარგებლობაში და სხვ.

## ძირითადი მიგნებები

მოსამართლეების მიერ ინკვიზიციურობის პრინციპის გამოყენების მონიტორინგის განხორციელებისას „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ თავის დასკვნებს მონიტორინგის პროცესში შეგროვებულ დეტალურ სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით აკეთებდა.

მესამე მონიტორინგის პერიოდში, პირველი და მეორე მონიტორინგის პერიოდების მსგავსად, მოსამართლეები მონდომებას არ იჩენდნენ, ადმინისტრაციული საქმეების განხილვისას მესამე მხარე მოეწვიათ. თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეებმა მესამე მხარე 231 სხდომიდან მხოლოდ 10-ზე (8 მოსამზადებელ სხდომაზე და 2 მთავარი სხდომის დასაწყისში) მოიწვიეს, ბათუმის საქალაქო და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოებში – 58 სხდომიდან 3-ზე (1 მოსამზადებელ სხდომაზე და 2 მთავარი სხდომის დასაწყისში), ქუთაისის

---

[41] მ. კოპალეიშვილი და სხვანი, გვ. 27.

[42] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, Resolution 78 (8), “on Legal Aid and Advice”, 1978 წლის 2 მარტი; *Van der Mussele v Belgium* (1983), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 29-ე და 30-ე პარაგრაფები; იხ. შენიშვნა 27, ადმინისტრაციული სამართლის მონიტორინგის სახელმძღვანელო, გვ. 59.

საქალაქო სასამართლოში – 41 სხდომიდან 3-ზე (2 მოსამზადებელ სხდომაზე და 1 მთავარი სხდომის დასაწყისში), ხოლო გორის რაიონულ სასამართლოში – 20 სხდომიდან 2-ზე. ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში ასეთი რამ 6 სხდომიდან არცერთზე არ მომხდარა.

მეორე მონიტორინგის პერიოდთან შედარებით ოდნავი გაუმჯობესება აღინიშნება იმ შემთხვევებში, როდესაც მოსამართლეები მხარეებს დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულებების წარდგენას სთხოვდნენ, მაგრამ დაკვირვებული სხდომების რაოდენობის ფონზე საერთო სტატისტიკური მაჩვენებელი კვლავ საგრძნობლად დაბალია. იკვეთება ტენდენცია, რომ მოსამართლეები ამგვარ მოთხოვნებთან დაკავშირებით პასიურ პოზიციას იკავებენ. მიღებული მონაცემებიდან გამომდინარე, მოსამართლეები ყველა სასამართლოში მხარეებს დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულებების წარდგენას სხდომათა 25%-ზე ნაკლებ შემთხვევაში (მოსამზადებელ სხდომაზე და მთავარი სხდომის დასაწყისში) სთხოვდნენ.

მესამე მონიტორინგის პერიოდში მოსამართლეებმა მხარეებს დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულებების წარდგენა თბილისის საქალაქო სასამართლოში 231 სხდომიდან მხოლოდ 26-ზე (8 მოსამზადებელ სხდომაზე და 18 მთავარი სხდომის დასაწყისში) მოსთხოვეს, რაც სხდომათა 11%-ია. მეორე მონიტორინგის პერიოდში შესაბამისი მაჩვენებელი 3% (110 სხდომიდან 3) იყო.

მესამე მონიტორინგის პერიოდში ბათუმის საქალაქო და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოებში მოსამართლეებმა საკუთარი ინიციატივით დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულებების წარდგენა 58 სხდომიდან 7-ზე (4 მოსამზადებელ სხდომაზე და 3 მთავარი სხდომის დასაწყისში) მოითხოვეს, რაც სხდომათა 12%-ია. მეორე მონიტორინგის პერიოდში შესაბამისი მაჩვენებელი 7% (41 სხდომიდან 3) იყო.

მესამე მონიტორინგის პერიოდის დანარჩენი შედეგები მოსამართლეთა მიერ საკუთარი ინიციატივით დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულებების წარდგენის მოთხოვნის თაობაზე შემდეგია: ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ამგვარი მოთხოვნა სხდომათა 20%-ის (41-იდან 8) შემთხვევაში დაფიქსირდა, ხოლო გორის რაიონულ სასამართლოში – სხდომათა 10%-ის (20-იდან 2) შემთხვევაში. ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში ასეთი რამ არცერთ სხდომაზე არ მომხდარა. იმის გარკვევა, დაეხმარა თუ არა მოსამართლეს დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულებების წარდგენის მოთხოვნა საქმეზე სიმართლის დადგენაში, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" არ შეუძლია.

თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეებმა 90 მოსამზადებელი სხდომიდან 15-ზე და 141 მთავარი სხდომიდან (დასაწყისში) 16-ზე მისცეს

მხარეებს მითითებები/რეკომენდაციები (შეჯიბრებითობის პრინციპის დაურღვევლად). ბათუმის საქალაქო და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოებში მითითებები/რეკომენდაციები 33 მოსამზადებელი სხდომიდან 12-ზე და 27 მთავარი სხდომიდან (დასაწყისში) 4-ზე გაიცა, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში – 41 სხდომიდან 9-ზე, ხოლო გორის რაიონულ სასამართლოში – 20 სხდომიდან 4-ზე. ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში მითითებები/რეკომენდაციები 6 სხდომიდან არცერთზე არ გაცემულა.

. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" მიერ მონიტორინგის შედეგად თავმოყრილი სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე, მოსამართლეები, საზოგადოდ, საჭირო რაოდენობის კითხვებს სვამდნენ. შეკითხვების დასმის ძირითადი დანიშნულება ისაა, რომ საქმეზე შესაბამისი ფაქტი დადგინდეს. თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლე საშუალოდ 4 კითხვას სვამდა, ბათუმის საქალაქო და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოებში – 6 კითხვას, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში – 6 კითხვას, გორის რაიონულ სასამართლოში – 8 კითხვას, ხოლო ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში – 11 კითხვას. პირველი მონიტორინგის პერიოდში მოსამართლეებმა თბილისის და ბათუმის საქალაქო, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოებში, შესაბამისად, საშუალოდ 8 და 5 კითხვა დასვეს. მეორე მონიტორინგის პერიოდში მოსამართლეებმა თბილისის საქალაქო სასამართლოში 4 კითხვა დასვეს, ბათუმის საქალაქო და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოებში – 6, ხოლო გორის რაიონულ სასამართლოში – 2. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო" ამ საკითხთან დაკავშირებულ მხოლოდ სტატისტიკას ასაჯაროებს, რადგან კითხვების დასმა მთლიანად თითოეული საქმის შინაარსზეა დამოკიდებული. თუმცა ჩვენი მონიტორინგი იმ საკითხსაც ეხებოდა, თუ რამდენად დგინდებოდა მოსამართლის მიერ შეკითხვების დასმით საქმეზე შესაბამისი ფაქტი. თბილისის საქალაქო სასამართლოში კითხვების დასმის შედეგად ფაქტი საქმეთა 93%-ის (122-იდან 113) შემთხვევაში დადგინდა, ბათუმის საქალაქო და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოებში – საქმეთა 85%-ის (40-იდან 34) შემთხვევაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში – ყველა (26) საქმეზე, გორის რაიონულ სასამართლოში – საქმეთა 60%-ის (10-იდან 6) შემთხვევაში, ხოლო ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში – 5 სხდომიდან მხოლოდ 2-ზე. შეკითხვების დასმით საქმეზე შესაბამისი ფაქტის დადგენის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები იმაზე მეტყველებს, რომ კითხვების დასმისას მოსამართლეები სათანადოდ იყენებდნენ მათთვის მინიჭებულ ინკვიზიციურობის უფლებამოსილებას.




**გრაფიკი 21.** მოსამართლის მიერ დასმული კითხვების საშუალო რაოდენობა თბილისი




**გრაფიკი 22.** მოსამართლის მიერ დასმული კითხვების საშუალო რაოდენობა ბათუმი/ხელვაჩაური




**გრაფიკი 23.** მოსამართლის მიერ დასმულ კითხვათა საშუალო რაოდენობა
სასამართლო მონიტორინგი ს პერიოდ ი #3

## *რეკომენდაციები*

კერძო პირს, რომელიც სასამართლოში ადმინისტრაციული ორგანოს წინააღმდეგ გამოდის, სასამართლო განხილვაში სრულყოფილად მონაწილეობის საშუალება უნდა ჰქონდეს. ამ მხრივ მოსამართლის მიერ ინკვიზიციურობის უფლებამოსილების გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს შემთხვევაში, რადგან აქ ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას სახელმწიფო უფასო იურიდიულ დახმარებას არ უზრუნველყოფს. მესამე მონიტორინგის პერიოდში მოსამართლეები სუსტად ავლენდნენ ინკვიზიციურობის უფლებამოსილების გამოყენების ინიციატივას, განსაკუთრებით ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: საქმეში მესამე მხარის ჩართვა; მხარისათვის დამატებითი ინფორმაციისა და მტკიცებულებების წარდგენის მოთხოვნა, მხარეებისათვის მითითებების/რეკომენდაციების მიცემა. ყველაზე მეტად შემაშფოთებელია ის გარემოება, რომ ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში დაკვირვების შედეგად მოსამართლის მიერ ინკვიზიციურობის უფლებამოსილების გამოყენების არცერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა. ამდენად, ადმინისტრაციულ საქმეებზე საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნება, მოსამართლეებმა მეტი ინიციატივა გამოავლინონ მათთვის მინიჭებული ინკვიზიციურობის უფლებამოსილების გამოყენებაში, განსაკუთრებით ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში.

ასევე კარგი იქნება, თუ მოსამართლეები საქმის სრულად შესწავლისა და სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანის მიზნით, საჭიროებისამებრ, კითხვების დასმის პრაქტიკას განაგრძობენ და ფაქტების დადგენას შეეცდებიან.

## მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი

ეს პრინციპი საქართველოს საპროცესო კანონმდებლობაში ნათლადაა განცხადებული. შეჯიბრებითობის პრინციპი ადმინისტრაციული სამართალწარმოების ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია და ინკვიზიციურობის პრინციპთან ერთად მოქმედებს. მოსამართლეთა მიუკერძოებლობის პრინციპი აღიარებულია სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტით, მათ შორის, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტით. ამ პრინციპის მნიშვნელობაზე გამახვილდა ყურადღება არაერთ საერთაშორისო კონფერენციაზე თუ აქტში, როგორებიცაა ევროპის საბჭოს რეკომენდაციები და ევროპული ქარტია[43] და დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისის კიევის რეკომენდაციები,[44] რომლებიც აღნიშნული კონფერენციების შედეგად შემუშავდა.[45]

მოსამართლე ვალდებულია უზრუნველყოს მხარეთა თანასწორობის პრინციპის განუხრელი დაცვა სასამართლო დარბაზში. ამ პრინციპის დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, სადაც მხარეები კერძო პირები და ადმინისტრაციული ორგანოები არიან. მოსამართლემ, რომელიც თავად საჯარო მოხელეა, უნდა გადაწყვიტოს დავა, რომელშიც საჯარო სუბიექტები მონაწილეობენ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მოსამართლემ ისე უზრუნველყოს მხარეთა თანასწორობა, რომ საეჭვო არ იყოს მისი მიუკერძოებლობა იმ შემთხვევაში, როდესაც ერთ-ერთი მხარე სახელმწიფოა.[46]

მოსამართლეთა მიუკერძოებლობის პრინციპი ასევე გულისხმობს კერძო პირის შესაძლებლობას, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში მისი სამართლიანობის უზრუნველსაყოფად.[47] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, მხარეთა თანასწორობა მოითხოვს, მხარეებს შორის სამართლიანი ბალანსი არსებობდეს, რათა თითოეულ მხარეს ეძლეოდეს გონივრული შესაძლებლობა, დაასაბუთოს საკუთარი პოზიცია ისეთ

---

[43] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, *Recommendation on Judges: Independence, efficiency, responsibility* (რეკომენდაციები მოსამართლეებთან დაკავშირებით: დამოუკიდებლობა, ეფექტიანობა, პასუხისმგებლობა); The European Charter on the Statute for Judges (მოსამართლეთა დებულებების ევროპული ქარტია), მიღებული მრავალმხრივ შეხვედრაზე სტრასბურგში, 8–10 ივლისი, 1998, DAJ/DOC (98) 23.
[44] Kyiv Recommendations on Judicial Independence in Eastern Europe, South Caucasus and Central Asia (კიევის რეკომენდაციები აღმოსავლეთ ევროპაში, სამხრეთ კავკასიაში და ცენტრალურ აზიაში სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ).
[45] იხ. შენიშვნა 27, ადმინისტრაციული სამართლის მონიტორინგის სახელმძღვანელო, გვ. 29.
[46] ადმინისტრაციული სამართლის მონიტორინგის სახელმძღვანელო. გვ. 63.
[47] ადმინისტრაციული სამართლის მონიტორინგის სახელმძღვანელო, გვ. 72.

პირობებში, რომლებიც მას მოწინააღმდეგე მხარესთან შედარებით არსებითად წაგებიან მდგომარეობაში არ ჩააყენებს.[48]

მხარეთა თანასწორობა შეიძლება დაირღვეს, თუ მოსამართლე ზედმეტად აქტიურია, მხარეებს სიტყვას აწყვეტინებს, ცვლის ან ზღუდავს მათ შეკითხვებს, მხოლოდ ერთი მხარის შუამდგომლობებს აკმაყოფილებს, დამატებითი ინფორმაციის წარდგენას მხოლოდ ერთ მხარეს სთხოვს ან ისეთ მტკიცებულებებს მოიპოვებს, რომლებიც მხოლოდ ერთი მხარის პოზიციის გამყარებას უწყობს ხელს. მეორე მხრივ, შეჯიბრებითობის პრინციპი მოსამართლის გადამეტებულმა პასიურობამაც შეიძლება დაარღვიოს. ეს მაშინ ხდება, თუ, მაგალითად, ერთი მხარე ხელს უშლის მეორეს მისი უფლებებით სარგებლობაში, ხოლო მოსამართლე მდგომარეობის გამოსასწორებლად ზომებს არ იღებს, არ ზღუდავს კითხვას, რომლის შეზღუდვაც აუცილებელია, არ ითხოვს სიმართლის დასადგენად აუცილებელ ინფორმაციას და სხვ.

მოსამართლის მიუკერძოებლობა დარღვეულია, თუ დასტურდება მისი ფაქტობრივი დამოკიდებულება და მიკერძოებულობა (სუბიექტური მიუკერძოებლობის დარღვევა), ან თუ ფაქტობრივი გარემოებები ასეთი დამოკიდებულების ან მიკერძოებულობის საფუძვლიან ეჭვს ბადებს (ობიექტური მიუკერძოებლობის დარღვევა).[49]

## ძირითადი მიგნებები

პირველი მონიტორინგის ანგარიშში თავმოყრილი მონაცემები მიუთითებდა, რომ მოსამართლეები კარგად იცავდნენ მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპს. ეს ტენდენცია არც მეორე და მესამე მონიტორინგის პერიოდებში შეცვლილა. ადმინისტრაციული დავის ორივე მხარეს, საზოგადოდ, თანაბარი შესაძლებლობა ჰქონდა, წარედგინა საკუთარი არგუმენტები. აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მოსარჩელე, როგორც წესი, კერძო პირია, ხოლო მოპასუხე – სახელმწიფო.

[48] *Schuler-Zgraggen v Switzerland* (1993), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 50-ე–52-ე პარაგრაფები.
[49] იხ. შენიშვნა 27, ადმინისტრაციული სამართლის მონიტორინგის სახელმძღვანელო, გვ. 63.

გრაფიკი 24. სახელმწიფო მხარის სტატუსი




რაც შეეხება მხარეთა მიერ დაყენებულ შუამდგომლობებს, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ მოსამართლეები მოსარჩელეთა მიერ დაყენებულ შუამდგომლობებს უფრო ხშირად აკმაყოფილებდნენ, ვიდრე სახელმწიფოს მიერ დაყენებულებს, ხოლო იქ, სადაც პირიქით ხდებოდა, მაგალითად, თბილისის საქალაქო და გორის რაიონულ სასამართლოებში, დაკმაყოფილებულ შუამდგომლობებს შორის მაქსიმალური სხვაობა მხოლოდ 11%-ია, რაც სერიოზული შეშფოთების საფუძველს არ იძლევა. მესამე მონიტორინგის პერიოდში მოსამართლეებმა თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსარჩელის მიერ დაყენებულ შუამდგომლობათა 65.8% (82-იდან 54) და მოპასუხის მიერ დაყენებულ შუამდგომლობათა 76.6% (47-იდან 36) დააკმაყოფილეს, ბათუმის საქალაქო და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოებში – მოსარჩელის მიერ დაყენებულ შუამდგომლობათა 80.5% (41-იდან 33) და მოპასუხის მიერ დაყენებულ შუამდგომლობათა 68.2% (22-იდან 15), ქუთაისის საქალაქო სასამართლოში – მოსარჩელის მიერ დაყენებულ შუამდგომლობათა 79.3% (29-იდან 23) და მოპასუხის მიერ დაყენებულ შუამდგომლობათა 64% (25-იდან 16), ხოლო გორის რაიონულ სასამართლოში – მოსარჩელის მიერ დაყენებულ შუამდგომლობათა 73.3% (15-იდან 11) და მოპასუხის მიერ დაყენებულ შუამდგომლობათა 80% (15-იდან 12). ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში

მოსარჩელემ მხოლოდ 2 შუამდგომლობა დააყენა და მოსამართლემ ორივე დააკმაყოფილა; მოპასუხემაც 2 შუამდგომლობა დააყენა და მათგან ერთი დაკმაყოფილდა, მეორე კი უარყოფილ იქნა. მოყვანილი მონაცემები ცხადყოფს, რომ სასამართლოებში დაცულია შეჯიბრებითობის პრინციპი.

თბილისის საქალაქო სასამართლოში მეორე მონიტორინგის პერიოდში მოსამართლეთა მიერ დაკმაყოფილებული და უარყოფილი შუამდგომლობების პროცენტული მაჩვენებლები თითქმის ისეთივეა, როგორიც მესამე მონიტორინგის პერიოდში. ანალოგიურად, ბათუმის საქალაქო და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოებში მეორე მონიტორინგის პერიოდში მოსარჩელის მიერ დაყენებული შუამდგომლობების 72.2% და მოპასუხის მიერ დაყენებული შუამდგომლობების 75% დაკმაყოფილდა.

**გრაფიკი 25. მოსამართლის მიერ დაკმაყოფილებული შუამდგომლობები (მთავარ სხდომაზე) თბილისი**




**გრაფიკი 26. მოსამართლის მიერ დაკმაყოფილებული შუამდგომლობები (მთავარ სხდომაზე) ბათუმი/ხელვაჩაური**



**გრაფიკი 27. მოსამართლის მიერ დაკმაყოფილებული შუამდგომლობები (მთავარ სხდომაზე)**




მესამე მონიტორინგის პერიოდში მოსამართლეებმა თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსარჩელის მიერ დასმულ შეკითხვათა 6% (148-იდან 9) და მოპასუხის მიერ დასმულ შეკითხვათა 1% (148-იდან 2) მოხსნეს. ბათუმის საქალაქო და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოებში მოსამართლეებს მოსარჩელის არცერთი შეკითხვა არ მოუხსნიათ, მაგრამ მოხსნეს მოპასუხის 1 შეკითხვა. ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მოსარჩელის მიერ დასმულ შეკითხვათა 12% (33-იდან 4) და მოპასუხის მიერ დასმულ შეკითხვათა 6% (33-იდან 2) მოიხსნა. გორის რაიონულ სასამართლოში მოსარჩელის მიერ დასმულ შეკითხვათა 29% (14-იდან 4) მოიხსნა, მაგრამ არ მოხსნილა მოპასუხის მიერ დასმული არცერთი შეკითხვა. ასევე არცერთი შეკითხვა არ მოხსნილა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში. მოყვანილი შედეგები ადასტურებს, რომ გორის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის მიერ მოხსნილი მოსარჩელის კითხვების რაოდენობა აშკარად განსხვავდება სხვა სასამართლოების ანალოგიური მონაცემებისგან. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ მოსარჩელის მიერ დასმული და მოსამართლის მიერ მოხსნილი შეკითხვების უმეტესობას, ჩვენი

დამკვირვებლების შეფასებით, საქმისათვის მნიშვნელობა არ ჰქონდა. ასე რომ, მესამე მონიტორინგის პერიოდში ამ საკითხთან დაკავშირებით შეგროვებული მონაცემების საერთო პროცენტული მაჩვენებელი მისაღებია.

მეორე მონიტორინგის პერიოდში მოსამართლეებმა თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსარჩელის მიერ დასმული შეკითხვების 15% და მოპასუხის მიერ დასმული შეკითხვების 4% მოხსნეს, ბათუმის საქალაქო და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოებში – მოსარჩელის მიერ დასმული შეკითხვების 6% და მოპასუხის მიერ დასმული შეკითხვების 3%, ხოლო გორის რაიონულ სასამართლოში – მოსარჩელის მიერ დასმული შეკითხვების 11% და მოპასუხის მიერ დასმული შეკითხვების 5%.

## *რეკომენდაციები*

